ცამეგზეოლოიში მოვედი ლა ცაკანოვედოლი ეზანი - ლიდი ცაკანოვედოლი

სამეგრელო

№10-11 (46) 1.11.2015 - 1.12.2015 ფასი 2 ლარი ყოველთვიური გამოცემა

ცაიუბილოდი ეკამოცდამ

„ცამეგრელო“ 4 წლისაა

ჯაბა ქანკავა

მიმაჩნია, რომ ძალიან თავმდაბალი ვარ...

გვ. 11

ქეთი მელუა

ელიზაბეტ II რჩეული

გვ. 3

ლეილა ბალბაია

ენბენის მესაიდუმლე

გვ. 6

ჭანტურიებისას ბედის ვარსკვლავი აკიაფდა

გვ. 8

ქან შარდენი სამეგრელოს შესახებ

გვ. 16

ბილიცავი ბიბლიოთეკა

ISSN 1987-8524

მარადისობის ლაჟვარდები

როდესაც ტერენტი გრანელზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, მისი დატანჯული სული, მისი მისტიკური პოეზია, მისი ღვთაებრივი ზეციური მზერა და მისი იმქვეყნიური, ბოდლერისათვის დამახასიათებელი მისწრაფება მაგონდება.

ტერენტი გრანელის პოეზია არის უმანკო, სულივით ამაღლებული, ღვთაებრივი.

ყოველთვის, როცა ცხოვრებისეული პრობლემები შემოგაწვება, როდესაც გეჩვენება, რომ მიჯაჭვული ხარ ამ ტანჯულ მიწაზე და ჩვენი წუთისოფლიდან არანაირი გამოსავალი თითქოს არ ჩანს, უცებ პოულობ გამოსავალს და ეს გამოსავალი ყოველთვის რაღაც ამაღლებულშია, იმ ზეციურ სხივში, რომელსაც ტერენტი გრანელი „მესამე გზას" უწოდებს:

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,
არამედ რაღაც სხვა".

„ძამიკო ტერენტი!", - ეტყოდა ჩვენთვის ყოვლად საყვარელი გალაკტიონი. მან ყველაზე უკეთესად იცოდა ტერენტი გრანელის პოეზიის მისტერია, მისი ლექსის ვერსიფიკაცია, განუმეორებელი რითმის მელოდია. გალაკტიონი მხოლოდ ტერენტის თვლიდა ჭეშმარიტ მოწინააღმდეგედ პოეზიაში. და ეს არც არის გასაკვირი, ტერენტის მძლავრი, ღვთაებრივი მისტიკური პოეზიის მაგალითი იშვიათია.

ტერენტი გრანელი ბავშვობიდანვე იყო შეპყრობილი ზეცის სხივით. 6 წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა, საშინელი ღამე გაიტაცებს საყვარელ არსებას. ტერენტი თავის დედინაცვალს, სულიერ პიროვნებას, მიუძღვნის სიმბოლოებით დატვირთულ მისტერიულ სონეტს.

ბავშვობიდანვე შეუყვარდება წიგნი და კითხვა, კილომეტრებს გაივლიდა, რომ დადიანების ბიბლიოთეკაში გაეცნო სამყარო.

ღამის ნაპრალებმა დიდი კვალი დატოვა ტერენტის პოეზიაში. ახალგაზრდობიდან იგი აფექტური გრძნობით იქნება შეპყრობილი და მისტერია სამუდამოდ დაიკავებს ადგილს მის ფსიქიკაში. ღამის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის შემოქმედებაში. ერთი მხრივ, ის არის წყვდიადი და სიბნელე, რომელიც პოეტში ბადებს შემზარავ შიშს.

მის პოეზიაში ჭალის თემას მთავარი როლი აკისრია. ტერენტის აქაც განსხვავებული ხედვა აქვს. როგორც ნამდვილი შემოქმედი, საყვარელ ჭალწულს იდეალიზირებულ, უმანკო არსებად ხატავს. და ასეთ არსებას ის სამეულად: დედის, მუზის და ღვთისმშობლის სახით წარმოადგენს.

სიკვდილის თემა მთავარი მოტივია ტერენტის პოეზიისა. მთელი თავისი ცხოვრება სიკვდილის მანიით იყო შეპყრობილი, მას ხშირად ხედავდნენ სამგლოვიარო პროცესიებზე, დასაფლავებაზე და წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოებში.

ბატონი რეზო ადამია, უნიჭიერესი ფერმწერი და ესეისტი, რომელმაც დიდი აღიარება მიიღო თანამედროვე საფრანგეთში, შეფასებას აძლევს ტერენტის პოეზიას, როგორც ხელოვანი-ფერმწერი. ის წერს: „გრანელის და ფირუსმანის შემოქმედებითი წვა სევდის ცეცხლზე ხდებოდა და კიდევაც შექმნეს საკვირველი და ინდივიდუალური სახის ნაწარმოებები".

ს ა რ ჩ ე ვ ი

23 ნოემბერი - წმიდა გიორგის ბორბალზე წამების დღე 2

პოპ-ვარსკვლავი ქეთი მელუა 3

ნინო რეხვიაშვილი — ანბანის მესაიდუმლე ქალბატონის ხელოვნება 6

ნინო რეხვიაშვილი — ბედის ვარსკვლავი 8

რატი შელეგია —მიმაჩნია, რომ ძალიან თავმდაბალი ვარ... 11

რას სთხოვს ემიგრანტ დედებს პატრიარქი 14

როგორ ეხმაურებიან ემიგრანტი დედები პატრიარქის თხოვნას.... 15

ჟან შარდენი სამეგრელოს შესახებ 16

გივი სიხარულიძე — ზეცაში დაფრინავ მუზით..... 18

ვის მიუძღვნა გალაკტიონმა „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ 19

გივი სიხარულიძე — ერთგულება 20

გივი სიხარულიძე — განაჩენი.....21

„ოქროს საწმისი“ და თანამედროვე არგონავტებისთვის გამართული კონცერტი ფოთში 22

გოდერძი ჩოხელი — ბებო..... 24

საბედისწერო მზე შემოდგომისა....26

მაინც ვინ იყო აშორდია?!.....28

ნინო კემულარია — ჩემი მუზა ხარ და..... 29

ლალი ფაცია — ბოცვრების მოვლა-პატრონობისა და ვარგისიანობის შესახებ 30

ზუგდიდი სრულიად საქართველოს ამცნობს..... 32

წალენჯიხა სრულიად საქართველოს ამცნობს..... 34

მარტვილი სრულიად საქართველოს ამცნობს..... 35

ხობი სრულიად საქართველოს ამცნობს..... 36

სენაკი სრულიად საქართველოს ამცნობს..... 38

ნინო რეხვიაშვილი — წუთისოფლის განაჩენი..... 39

ნინო რეხვიაშვილი — ჭირისუფალი ძაღლი..... 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რეხვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარშეიშვილი
ტექსტი ააწყო
თამარ გოგინაძემ

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27, მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალში მასალების მანთავსება ფასიანია!

23 ნოემბერი - წმიდა დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღე

წმიდა გიორგი საქართველოს მეოხი და მფარველი წმინდანია. ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორ იბრძოდა წმიდა გიორგი ხილულად ქართველთა ლაშქარში დიდგორისა და ბახტრიონის ბრძოლებში. საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გეორგიას“ ეძახიან და საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან არის დაკავშირებული.

23 ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული.

ცნობილია წმიდა გიორგის ბორბალზე წამების საოცარი ისტორია: როდერსაც პირველ დღეს ნაწამები წმიდა გიორგი მეორე დღეს ისევ წარუდგინეს იმპერატორ დიოკლეტიანეს, წმინდანმა მას მუქარის საპასუხოდ მიუგო: „უმალ შენ მოუძლურდები ჩემი ტანჯვით, ვიდრე მე, შენს მიერ გვემული“. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ. სხეულდასერილმა წმიდანმა ჯერ ხმამაღლა აღუვლინა ლოცვა უფალს, შემდეგ კი დადუმება არჩია. დიოკლეტიანემ იფიქრა, უკვე აღესრულაო, უბრძანა ჩამოეხსნათ სხეული ბორბლიდან. თვითონ კი აპოლონის ბომონს მიაშურა სამადლობელი მსხვერპლის შესაწირად.

მოულოდნელად სრულიად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!“ ბორბალთან უჩვეული ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მოწამეს, უთხრა: „გიხაროდენ!“ და გაუჩინარდა, წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანი სცა ჭეშმარიტ ღმერთს.

ტროპარი

ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი

მოიმუშაკე ღმრთისა მიერ და გამოჩნდი მუშაკად პატიოსნად ღმრთის-მსახურებისა, გიორგი, და სათნოებათა მჭელეული შეუკრიბე თავსა თვისსა, რამეთუ ცრემლით სთესე და სიხარულით მოიმკე, სისხლი დასთხიე და მოღვაწებითა ქრისტე შეიძინე, და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენთა.

20 წლის ქეთი მელუა პირველი ქართველია, რომელსაც თამამად შეგვიძლია მსოფლიოს მასშტაბის პოპ-ვარსკვლავი ვუწოდოთ. თანამედროვე მუსიკის მექაში – ბრიტანეთში, მან თითქმის ყველა ჩარტის მწვერვალი დაიპყრო. ქეთის უსმენენ მთელს მსოფლიოში. მის მილიონობით თაყვანისმცემელს შორის ინგლისის დედოფალი ელიზაბეტ II გახლავთ. 2004 წლის იანვარ-თებერვალში, სახელგანთქმულ „ბილბორდის“ საუკეთესო 40-ეულში, მელუამ სუპერპოპულარული მომღერალი იდო რამდენიმე კვირით პირველი საფეხურიდან ჩამოაბრძანა და მისი ადგილი დაიკავა. ჩ-ის ვებ-გვერდზე ახლახანს გამოქვეყნდა 2004 წელს, ბრიტანეთში ყველაზე გაყიდვადი 100 ალბომის სია, რომელშიც ქეთის ალბომს „Call Off The Search“ საპატიო მე-5 ადგილი უჭირავს. მელუა წინ უსწრებს ისეთ შემსრულებლებს, როგორებიც არიან: ანასტეიშა, ნორა ჯონსი, „2“, ემინემი, რანზ ერდინანდ, ჯორჯ მაიკლი, კაილი მინოუგი, ბრიტნი სპირსი, დაიდო, ფილ კოლინზი, როდ სტიუარტი, მორისეი და ა. შ.

ქეთი მელუა დაიბადა 1984 წლის 16 სექტემბერს ქუთაისში. ამის შემდეგ მელუების ოჯახი 1 წელი მოსკოვში ცხოვრობდა, საიდანაც ისევ საქართველოში – ბათუმში დაბრუნდა. მუსიკალური განათლების მისაღებად მშობლებმა ქეთის თბილისში ჩამოყვანა გადაწყვიტეს. 9 წლამდე, ანუ ბრიტანეთში წასვლამდე, იგი ბიძებთან იზრდებოდა, რომლებიც ორთოდოქსი როკერები იყვნენ და მთელი დღეების განმავლობაში მათთან ერთად „ქუინს“, „ბლექ საბატსა“, თუ „დიიფ ფარფლს“ უსმენდა. ერთ-ერთ ინტერვიუში ქეთიმ თქვა კიდეც, რომ მისი საყვარელი სიმღერებია „ქუინის“ „ბოჰემური რაფსოდია“ და „ლედ ზეპელინის“ „კიბე ზეცაში“. ქეთის **თბილისელი ბიძა ზურა მელუა** იხსენებს: *„ქეთი მძიმე მუსიკის*

ატმოსფეროში იზრდებოდა. ვიდეოც გვაქვს, სადაც 7 წლის გრძელთმიანი ქეთი ჩემს საწოლზე დახტის, ხელში სათამაშო სინთეზატორი უჭირავს და მთელი ხმით მღერის ამერიკული ჰევი-მეტალ ჯგუფ „ჭ..შ..“-ის სიმღერას. ძალიან ცელქი იყო. საირმის გორაზე საცურაო აუზზე ფეხით ავდიოდით ხოლმე და ქუჩაში ნორმალურად არ დადიოდა. გზაში სულ

ინგლისის დედოფალი ელიზაბეთ II ჩემს სანახავად კულისებში შემოვიდა

ცეკვავდა და თავისთვის რაღაცას მღეროდა ხოლმე. მუსიკალურ სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა. ქეთი მზეს მაგონებს. მასავით ანათებს. მისი გაბრაზება და ყვირილი არ მახსოვს. სულ იღიმება, იცინის, ძალიან კეთილია“.

1994 წელს ქეთის მამა, წარმატებული ექიმი-კარდიოლოგი **ალიკა მელუა**, ინგლისელმა მეგობარმა ბრიტანეთში სამუშაოდ მიიწვია. მელუები ჯერ ირლანდიაში, ბელფასტში, საბოლოოდ კი ლონდონში დასახლდნენ. ბრიტანეთში ჩასვლისას, 9 წლის ქეთიმ ენა სამ თვეში აითვისა და მუსიკალურ სკოლაშიც დაიწყო სწავლა. სიმღერების წერა ოთხიოდე წლის წინ დაიწყო, მანამდე კი სურდა ჯერ პოლიტიკოსი, მერე ისტორიკოსი გამოსულიყო. ერთხელ ამ სკოლაში მოსწავლეთა მოსასმენად მივიდა ცნობილი პროდიუსერი და კომპოზიტორი მაიკ ბეტტი, რომელსაც ლეგენდარულ ენდრიუ ლლოიდ უებერთან და ვანესა მეისთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს. ბეტტი ახალი ტიპის ვოკალს ეძებდა და მან უკვე იცოდა ნიჭიერი გოგონას – ქეთი მელუას შესახებ. მოსმენაზე ქეთიმ საკუთარი სიმღერა შეასრულა, რომელიც ახალგარდაცვლილ მომღერალ ივა კესიდს მიუძღვნა. სიმღერა მაიკს ძალიან მოეწონა და მათი თანამშრომლობა დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ქეთი 9 წლის ასაკიდან გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობს, ქართულს მაინც ნორმალურად ფლობს. მის საუბარს ოდნავ აჭარული აქცენტიც დაჰკრავს და ზოგჯერ ლაპარაკის დროს თანამოსაუბრის დარწმუნებას ცდილობს კითხვით: „გეიგე“?

ახლა კი გთავაზობთ ქეთისთან ინტერვიუს ჩანაწერს:

– როდის დადგა შენს ცხოვრებაში ის ეტაპი, როცა საბოლოოდ გადაწყვიტე, რომ მომღერალი უნდა გამხდარიყავი?

– ალბათ იმ დროიდან, როდესაც სიმღერების წერა დავიწყე. 8 წლისას ძალიან მიყვარდა სიმღერა, თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა გამოვიდოდი. ვთვლიდი, რომ სიმღერა, მუსიკა ჩემთვის უფრო ჰობი იყო. 5-6 წლის წინ საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ მუსიკაში რამე გამეკეთებინა. ჩემს მუსიკოსად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს იმ მომღერლებმა, რომლებსაც მე ვუსმენდი: ჯონი მიჩელი, ბობ დილანი, ივა კესიდი, ტომ უეიტსი. ამ მომღერლების მუსიკა ჩემზე ყოველთვის დიდ ეფექტს ახდენდა და სურვილი გამიჩნდა, მეც რაღაც გამეკეთებინა. სიმღერის წერა ძალიან შემიყვარდა, მსურდა სულ უფრო და უფრო მეტი სიმღერა დამეწერა. ერთხანს ვფიქრობდი, ალბათ ცნობილი მომღერალი არა, მაგრამ ხომ შეიძლება კარგი პროდიუსერი გავხდე-მეთქი. პატარა სტუდია მოვიწყვე სახლში (კომპიუტერი, მიკროფონი, კლავიშები) და საკუთარ მუსიკას ისე ვიწერდი. სწორედ ამ დროს შევედი მუსიკალურ ბრიტსქულში, სადაც მუსიკის წერის ტექნოლოგიასაც გვასწავლიდნენ. აი, ასე დაიწყო ყველაფერი.

– ქეთი, ზემოთ პასუხში აღნიშნე, რომ მუსიკოსისთვის ჩაცმულობას ნაკლები მნიშვნელობა აქვს და ყურადღებას საერთოდ არ აქცევ? მინდა გითხრა, რომ ყოველთვის მშვენივრად გამოიყურები.

– გმადლობთ. ისე, ძალიან არ მიყვარს ჩაცმაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება. თუმცა რეალისტი ვარ – ვიცი, თუნდაც მაკიაჟი უნდა გაიკეთო, რომ ტელევიზორში ნორმალურად გამოჩნდე. გარეგნობას ცოტა დროს ვუთმობ და საერთოდ, მასზე ზრუნვა ჩემს საქმეში ყველაზე უმნიშვნელოა, არადა, ჩემი კოლეგები მირჩევენ უფრო მეტი დრო დაუთმეო. ამ მხრივ ცოტა რაღაცას ვაკეთებ, მაგრამ ყურადღების მისაპყრობად ნამდვილად არ გავშიშვლდები.

– ელექტრონული მუსიკა თუ მოგწონს?

– „ანდერვორლდი“ და „ქემიკალ ბრაზერსი“ ალბათ, ბევრმა იცის და მეც მომწონს. თუმცა, განსაკუთრებით „ფეტბოი სლიმსი“ და მობი მიყვარს ძალიან. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მუსიკაშიც ბევრი სისულელე კეთდება. აქაც ძებნაა საჭირო და ბევრ კარგს ნახავ, რაც პირადად შენ მოგეწონება და გაინტერესებს.

– ლონდონში ახლა ოჯახთან ერთად ცხოვრობ?

– კი, დედასთან და მამასთან ერთად ვარ.

– სურვილი არ გაგჩენია, რომ ცალკე სახლში იცხოვრო, გყავდეს საკუთარი მანქანა და ა. შ.?

– მანქანა უკვე მყავს, რომელიც რამდენიმე თვის წინ შევიძინე და ვატარებ კიდეც. ადრე ვფიქრობდი, 18 წლის რომ გავხდები საკუთარ სახლში ცხოვრება ხომ არ დავიწყო-მეთქი. მაგრამ ახლა ყოველდღე უამრავი სამუშაო მაქვს, ხშირად გასტროლებზე ვარ და ოჯახი სულ მენატრება, ამიტომ მირჩევნია, ისევ მშობლებთან ერთად ვიცხოვრო.

– ვიცი, რომ ძალიან იშვიათად გაქვს თავისუფალი დრო. თუმცა, საინტერესოა, ამ დროს როგორ ატარებ? თუ დადიხარ დიკოთეკებზე, ბარში ან სხვა საყვარელ ადგილას?

– ადრე ძალიან მიყვარდა მეგობრებთან ერთად კინოთეატრში სიარული, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, თავისუფალი დრო ნამდვილად აღარ დამრჩა. ძირითადად სულ ტურებზე ვარ და ვმუშაობ. სამუშაოს შემდეგ კი ისე ძალიან მენატრება ჩემი ოჯახი – დედიკო, მამიკო და ჩემი ძმა, რომ არსად წასვლა აღარ მინდა. თუმცა იშვიათად გავდივარ ხოლმე და ვერთობი.

– ქეთი, რა წიგნებს კითხულობ ხოლმე, თუნდაც ტურნეებში მგზავრობისას თვითმფრინავში, ავტობუსში?

– წიგნი ძალიან მიყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულად კითხვა მიჭირს. ვაპირებ საქართველოს ისტორიისადანოდარდუმბაძისწიგნებისქართულად წაკითხვას. მართალია, ნელა ვკითხულობ, მაგრამ ვეცდები ეს წიგნები წავიკითხო. სახლში სულ ქართულად ვსაუბრობთ, მაგრამ ქართული წიგნები არ მქონია. ინგლისურად კი ბევრს ვკითხულობ. ძალიან მიყვარს თანამედროვე ირლანდიელი მწერალი აირის მერდოკი, მისი თხრობის მანერა და სიტყვები. ძალიან საინტერესოდ გადმოსცემს ისტორიებს. ადვილად გასაგებია და, ამავე დროს, ფილოსოფიურიც. ახლახანს წავიკითხე დარენ ბრაუნის წიგნი. ის ძალიან პოპულარული მწერალია ბრიტანეთში.

– ქართველ მუსიკოსებს თუ იცნობ?

– სამწუხაროდ, ნაკლებად. თუმცა შემოდგომაზე, როდესაც საქართველოში ვიყავი, ბუბა კიკაბიძის და

ნინო ქათამაძის კონცერტებს დავესწარი. მომეწონა. განსაკუთრებით – ქათამაძის სტილი. ნუ, ბუბა ისედაც ლეგენდაა, დიდი ხანია უკვე შოუბიზნესშია და მაგის კარგი მომღერლობა საქვეყნოდაა ცნობილი. ნინო ქათამაძეს, ჩემი აზრით, დიდი მომავალი აქვს. ქართული პოპ-მუსიკა ნამდვილად არ ვიცნობ, მაგრამ აქაურებისგან გავიგე, რომ იგივე ხდება, რაც დანარჩენ მსოფლიოში, ანუ არიან ისეთი მომღერლები, რომლებსაც მომღერლებს ვერ დაარქმევ. სხვათა შორის, „ბითლზიც“ პოპი იყო, მაგრამ ძალიან კარგი პოპი.

– რა გითხრა ინგლისის დედოფალმა კონცერტის შემდეგ, როდესაც კულისებში ჩამოვიდა შენს სანახავად?

– ჩამოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: შენს სიმღერებს რადიოში მოვუსმინე და ძალიან მომწონსო.

– რწმენის შესახებ რა შეგიძლია მითხრა?

– მჯერა, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ, ჩემი აზრით, რელიგია ადამიანის მოგონილია. როდესაც კათოლიკურ ეკლესიაზე წიგნებს ვკითხულობ, მიკვირს, რამდენი რამ მოიგონეს და ჩაამატეს რელიგიაში ადამიანებმა. ისე კი, რწმენის გარეშე ადამიანები ვერ იცხოვრებენ. ყოველთვის საჭირო იყო ხალხისთვის ვიღაცას ეთქვა, რა არის სწორი და რა – არასწორი. ამიტომ კაცს სჭირდება ღმერთიც და ეშმაკიც. მან უნდა იცოდეს, რომ თუ ცუდს გააკეთებს, ზეცაში ვერ მოხვდება. მე სარწმუნოებით მართლმადიდებელი ვარ. ბავშვობისას აქ მომნათლეს საქართველოში.

ანბანის მესაიდუმლე ქალბატონის ხელოვნება

კალიგრაფისტ **ლეილა ბაღბაიას** მიერ შესრულებული ხელნაწერები ხელოვნების ნიმუშია, რადგან განსაკუთრებული შემოქმედებითი მიდგომით გამოირჩევა, ის მუშაობს როგორც თაბახზე, ისე ფაიფურზე, კერამიკაზე, ტყავზე, ქვაზე. ლეილა ბაღბაია არის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების და საქართველოს მხატვარ—კალიგრაფისტთა კავშირის წევრი.

ყველაფერი კი გალის რაიონიდან დაიწყო. 6 წლის სწავლას მოწყურებული გოგონა სკოლაში მიიყვანეს, გამართულად წერდა. მასწავლებელმა ნუცა კვარაცხელიამ გოგონას ნიჭიერებით გამოწვეული ემოცია ვერ დაფარა და მის ნაწერებს მთელ სკოლას აჩვენებდა. სამწუხაროდ, მაშინდელი კანონმდებლობით ამ ასაკის ბავშვს სკოლაში არ უშვებდნენ და 15 დღის შემდეგ ატირებული ლეილა ისევ სახლში წაიყვანეს.

კალიგრაფიისკენ სწრაფვა ბავშვობიდან დაჰყვა. სასკოლო გაზეთებსა თუ ალბომებს, სულ თვითონ აფორმებდა. საკლასო ჟურნალები ყველა ერთნაირი კალიგრაფიით გამოირჩეოდა, ეს კი ლეილას დამსახურება იყო.

აფხაზეთის ომმა არაერთ ადამიანს აურია ცხოვრების რიტმი. ქალბატონი ლეილა გალის აღებისთანავე ოჯახთან და ახლობლებთან ერთად მშობლიური კუთხიდან დევნილი გახდა. ***„იქ აღარაფერი დაგვრჩა, ყველაფერი გადამწვარია, მხოლოდ დედის საფ-ლავი მიმელის, მენატრება იქ მისვლა, მაგრამ...“*** ამბობს ქალბატონი ლეილა. დღეს იგი აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელია.

იმ დროს, როდესაც ყველაფერი კომპიუტერულ სისტემაზეა გადასული და კალმით წერა პრაქტიკულად კომპიუტერის კლავიატურამ შეცვალა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი კალიგრაფიის განვითარებას მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს. ქალბატონი ლეილა ცნობილი კალიგრაფისტია. შეიძლება თვე ისე გავიდეს, რომ ვერაფერი შევქმნა, არ ვიცი ამას რა დავარქვა, იქნებ მუზა? ყოველ შემთხვევაში როცა მუშაობას ვიწყებ დაღლას ვერ ვგრძნობ, 7-8 საათი ვზივარ, ეს ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა, მიხარია როცა ვხვდები, რომ კარგად გამომდის, ყველას ვაჩვენებ, სულ ერთია მათ აინტერესებთ თუ არა, მე ეს მსიამოვნებს, პატარა ბავშვივით ვარ“ — ამბობს ქალბატონი ლეილა, რომელიც „საუკეთესო ასლის“ ნომინანტია. მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ნიმუშის მიხედვით აბსოლუტური სიზუსტით შეასრულოს ნაშრომი. მისი კალიგრაფია ქსეროქსის მსგავსია.

ქალბატონი ლეილა საუკეთესო საქმეს აკეთებს. მშობლიური ქართული ანბანის პოპულარიზაციას ეწევა და იგი ხელოვნების კვარცხლბეგზე აჰყავს. მას ურთიერთობა აქვს გალის რაიონის სკოლებთან, ამბობს, რომ „გალში ქართული კარგად ისწავლება, იქაური ბავშვები მედალსაც იმსახურებენ და მათი 90% ეროვნულ გამოცდებს თბილისში აბარებს. რაღაც ნაწილი სოხუმშიც მიდის. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გალში ქართული სიტყვა ჯერ არ დაკარგულა, რაც შეეხება ხელნაწერებს, იქაც სრულდება, თუმცა საზღვარზე გადმოტანის უფლებას არ აძლევენ“.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ქალბატონ ლეილას ქართული ეროვნული საქმის ღირსეულად აღსრულებისათვის.

ნინო რეხვიაშვილი

მედის ვარსკვლავი

ნინო
ჩეხვიაშვილი

თოვს, ხვავრიელად თოვს. დაბა ჯვარი ზღაპრულ ქურქში გახვეულა, სძინავს მთებს, გორაკებს, ცა მრავლისმთქმელ რძისფერ ნისლს დაუფარავს. სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. ბეღურების გუნდს ერთ-ერთი სახლის სახურავზე სათათბირო გაუმართავთ. მათი ჟღურტული მთელ ჯვარს ესმის. გარშემო თითქმის ფიფქებიც გახალისდნენ, მბრწყინავი ფარფატა თოვლის ქულაჯები ცეკვა-ცეკვით ჰყვებოდნენ ბეღურების ამუსიკებულ ჟღურტულს. რაღაც კარგი უნდა მოხდეს, ფიქრობენ მეზობლები, — ხედავთ, ფიფქებსა და ბეღურებს კარნავალი გაუმართავთ. სოფელში ჩოჩქოლი ატყდა, მეგრელი ქალები თავიანთი შორსმჭვრეტელობის წყალობით, მიხვდნენ, რომ ქალბატონი ნუცა მიქავა მშობიარობდა, ცოტა ხანში სახლის ფანჯრებიდან გამოსული სინათლე გარე სამყაროს ზეიმს შეუერთდა და თეთრი, ფანტელივით ციცქნა, ლამაზი თოვლის დედოფალა მოევლინა ქვეყანას. გოგოა, გოგო! — ისმოდა გადაძახილები. კიდევ ერთი კოლხი ქალი... ეს ოჯახის მეორე შვილია. ბედნიერია მამა, ლუდოვიკო ჭანტურია, უფალმა საახალწლო საჩუქარი გაუკეთა.

გავიდა დრო. გოგონა დღითიდღე იზრდებოდა და ვითარდებოდა. ქალბატონი ნუცა ბედნიერებით ხარობდა, დასტრიალებდა შვილებს, მეუღლეს, ოჯახსა და თავის გონიერებითა და სიყოჩაღით ყოველთვის ყველაფერი წესრიგში ჰქონდა.

— აბა, მზადა ვართ? ეტეოდა ხოლმე ბავშვებს — რევაზს და პატარა ლუარას და აქეთ-იქეთ ხელმოკიდებულს საბავშვო ბაღისკენ მიარბენინებდა. ლუარა ცელქი გოგონა იყო, ყოველთვის ხელის გათავისუფლებას ცდილობდა და დედას წინ კუნტრუშით მიუძღვოდა, გზად ყვავილებს აგროვებდა და ბაღში მისული გვირგვინს წნავდა. ფერების აღქმა ჯერ კიდევ ბავშვობიდან შეეძლო. თავისთვის ყოფნა უყვარდა. ბაღიდან დაბრუნებული ეზოში, მშვიდ გარემოში განმარტოებას ცდილობდა, თავისთვის თამაშობდა, ხეს, ბალახს, ყვავილს, ფოთოლს ესაუბრებოდა. მამა, ლუდოვიკო ჭანტურია სკოლის დირექტორი გახლდათ, მაგრამ შვილებს მამის დირექტორობით არასდროს უსარგებლიათ. ლუარა ყოველთვის თავმდაბლობითა და გონიერებით გამოირჩეოდა, ნიჭიერი იყო, წერდა, ხატავდა, მამას მისი გატაცება მხედველობიდან არ გამოჰპარვია და შვილს ხატვის თვითმასწავლებელი, რუსულენოვანი წიგნი უყიდა. პატარა ხელოვანი გოგონა დაკვირვებული თვალით უმზერდა გარე სამყაროს, განსაკუთრებით მოსწონდა და ინტერესით აკვირდებოდა პეიზაჟებს, დროთა გარდამავლობას.

მისი შემოქმედებითი არეალი სასკოლო ასაკიდან დაიწყო. ყოველი ღონისძიების დეკორაციების ავტორი ლუარა იყო, მხატვრულ მონტაჟს ლუარა წერდა. ქსოვდა, კერავდა, ქარგავდა, დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა.

ყველას უყვარდა, ყველა ეფერებოდა. ასე ალერსში განვლო 17 წელი. ლუარა სასწავლებლად

სოხუმში გაემართა. პედაგოგიური განათლება მიიღო, შესაბამისად სამოღვაწეო ასპარეზად მასწავლებლობა აირჩია, 20 წელი ქალაქ ჯვარის მომავალი თაობის წვრთნასა და აღზრდას შეალია. ეს ხომ მისი ბავშვობის ოცნება იყო, უნდოდა ხარისხის დაცვა, მაგრამ რატომღაც მისი შემოქმედებითი ვექტორი მწერლობისა და პოეზიისკენ გადაიხარა.

ამისშემდეგ ქალბატონი ლუარა უმაღლეს სასწავლებელში თბილისის იურიდიულ-ინსტიტუტში უფროსი მეთოდისტის თანამდებობაზე აგრძელებს მუშაობას, ამბობს, რომ ეს იყო მისთვის საუკეთესო წლები, სადაც გარკვეულწილად მისი მეორე პროფესია „სამართალმცოდნეობა“ დაემატა.

ამჟამად ლუარა ჭანტურია თ. წერეთლის სამართლის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელია, რის გამოც სისტემატიური ურთიერთობა აქვს სტუდენტებთან, დოქტორანტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან. სამსახურიდან გამომდინარე ადვილად ხელმისაწვდომია სამეცნიერო ლიტერატურა, რის გამოც ქ. ლუარამ ახალგაზრდობის ოცნება აიხდინა და ამჟამად იგი სადოქტორო თემაზე მუშაობს კრიმინოლოგიის დარგში. ეს ქალბატონი ლუარასთვის ყველაზე სანუკვარი ადგილია, წიგნის სამყარო მისთვის მშობლიურია, ბავშვობის ოქროს ფონდის ერთ-ერთი უტკბილესი მოგონებაა. მათი ოჯახი ხომ ჯვარში წიგნიერების კერას წარმოადგენდა, მათ სახლს კი „წიგნის სამყაროს“ ეძახდნენ. ბატონი ლუდოვიკო ჭანტურია წიგნის მოტრფიალე კაცი გახლდათ, კაცი, რომლის ძარღვებშიც ქართული კოლხური სისხლი სჩქეფდა. კაცი, რომელიც სახალხო პედაგოგის ლამპრად ანთებული ოქროს ნაკვეთი გვარ-სახელით არის შესული სამეგრელოს მატიანეში. კაცი, რომელმაც მამულს შესწირა ყველა ღირსება, რასაც დიდება ჰქვია სახელად...

ქალბატონი ლუარა დასძენს, რომ იგი მამის კვალს მიჰყვება, მას ბევრი რამ დარჩა უთქმელი. თითქოსდა ლუდოვიკოსთვის ერთი სიცოცხლე საკმარისი არ აღმოჩნდა.

ისტორიკოსი მთელი არსით ეფერებოდა თავის ქვეყნის წარსულს, ფესვები მისთვის ყველაზე ღირებული რამ გახლათ. სიღრმისეულად ჰქონდა შესწავლილი წარსულის ყოველი შრე და ეპიზოდი. მისი გაკვეთილი იყო ბურთი და მოედანი ჯანსაღი პაექრობისათვის, ლიტერატურა, გეოგრაფია, ხელოვნება, ფიზიკა, ბიოლოგია და თვით ისტორია იმდენად ფართოდ იყო გაშლილი ერთ აკადემიურ საათში, რომ ეს მხოლოდ რჩეულთ თუ შეეძლოთ. მას ყველგან მიუწვდებოდა გონება. ორი ათეული წელი ჯვარის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი იყო. მისგან ცოდნის ნიაღვარი იღვრებოდა და ბავშვებიც წიგნიერების კოცონში იწრთობოდნენ. აი საიდან ჩაისახა ქალბატონი ლუარას სულში წიგნისადმი ლტოლვა.

წიგნი მათთვის ყოველთვის ფასდაუდებელი საჩუქარია, მისი ნატვრაც აქეთ არის, ვნატრობ, ვიცხოვრო წიგნების კოშკში, მქონდეს საკუთარი კარცერი - ლუქსი,

,,ყველა სათუთი ნატიფი აზრი,
გავანდო მხოლოდ სიტყვებს და ლექსებს“.

ლუდოვიკო საყოველთაოდ სახელგანთქმული პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ომის ვეტერანი, წარჩინების მედლის მფლობელი და ყველაზე დიდი — ღირსეული ადამიანი იყო, რომელიც დღენიადაგ შვილების ინტელექტის ამაღლებაზე ზრუნავდა. ბატონი ლუდოვიკოს სახელი მიენიჭა ჯვარის I საჯარო სკოლას, რომელსაც მან მთელი თავის შემოქმედებითი ცხოვრება დაუკავშირა. ლუდოვიკო ჭანტურია შესაშური განათლებით გამოირჩეოდა, ფლობდა ორ უცხო ენას, რუსულს და გერმანულს.

მადლიერმა შვილმა სახელოვან მამას ასეთი სტროფები მიუძღვნა:

,,არ გამქრალა ჩვენი ფესვი,
აღმართს მისდევს ჩვენი გზა,
შენი სუნთქვა ახლაც მესმის,
შენი ნაბიჯების ხმა“.

ამბობს პოეტი. აბა კარგად დავუკვირდეთ ლექსის მეორე ტაეპს, რაოდენ სიამაყით არის ნათქვამი, მხოლოდ ღირსეული მამის ღირსეული შვილი თუ იტყოდა ასე.

გზა, რომელიც დაბა ჯვარიდან დაიწყო, მთელ მსოფლიომდე სწვდება, ლადო ჭანტურიას სახელი მსოფლიო დიპლომატიური კორპუსისათვის კარგად ცნობილი და პატივსაცემია.

ჩემი ძმები ჩემი საყრდენი ძალა და ბერმუხები არიანო, ამბობს ქალბატონი და კვლავ თავის მამის საგალობელს ჰღაღადებს:

,,მზერა გქონდა მუდამ თბილი
სხივჩამდგარი თვალებით,
შენი სიბრძნით დამოძღვრილი,
ფრთხილად დავიარები“.

ომგამოვლილმა, მოხდენილმა და სახელოვანმა ვაჟკაცმა ქართულ ზნე-ჩვეულებასა და ტრადიციებზე აღზრდილი, შეძლებული ოჯახის შვილი, გიორგი მიქავას და გაიანე შენგელიას ულამაზესი ქალი ნუცა მიქავა შეირთო ცოლად. სათნო, სათუთი, უჭკვიანესი ქალბატონი, ღირსეული დედა და მეუღლე, ყურადღებიანი, მომთხოვნი და ამავე დროს სამართლიანი.

შვილებს მკაცრად ზრდიდა, უსამართლობას არ პატიობდა, ყოველთვის შრომისა და კეთილსინდისიერი გზისკენ მიუთითებდა, კარგი მეოჯახე და საიმედო მეგობარი გახლდათ.

მონატრებული შვილი დედის გულს ანთებული კელაპტრის ფონზე სხივთა მთოველს ადარებს, რომლის ხმა, სითბო და ალერსი მარად გაუხუნარია;

,,შორიდან ვხედავ გარდასულ დრო-ჟამს
და მოგონება ხალისით მავსებს,
როგორც მფარველი მაღალი ღმერთი,
დედაც ერთია ამ ქვეყანაზე".

ეს პოეტი ქალბატონის წმინდა კერაა, ოჯახი სადაც აღიზარდნენ ლუარა, რევაზი და ლადო. ლუარა ჭანტურია რუდუნებით ეფერება თავის ოჯახის ღირსეულ წარსულს, წარსულს რომელიც კედლებიდან ესაუბრება პოეტს;

,,ძველ კედლებიდან წინაპართა ხმა ისმის,
მოგონება გარდასული ჟამის;
ნანგრევების მდუმარებამ შემიპყრო,
სხვა რა არის მშვენიერი წამი".

წამი, რომელიც ციმციმა ვარსკვლავებივით კიაფობს პოეტის მეხსიერებაში და წლების შემდეგაც კი სულს უთბობს:

,,ვით ციმციმა ვარსკვლავები,
რომ ანათებს მთებს და ველებს;
წარსული და მისი ხსოვნა,
სულს მითბობენ წლების მერეც".

მისი ოჯახი მისი სიძლიერეა. ეს წარსულია, წარსული ბერმუხასავით მყარი და საუკუნეთათვის განწირული. ის ეთაყვანება ქედუხრელ და ქარიშხლის ფრთებზე ნარწევ მუხას და თვლის, რომ ხის სიმაღლე მართალაც ფესვებიდან იზომება.

ეს ფესვები თაობებს მიღმა იტოტება, უახლოეს წარსულში კი საამაყოდ ბეგლარ ჭანტურიასა და თამარ ალშიბაიას მყარი და ღირსებით აღვსილი ოჯახური ფუძეც კმარა. თამარი თავადთა წრის წარმომადგენელი იყო, ბებია შერვაშიძე ჰყავდა, ზედმიწევნით განათლებული, ზნეკეთილი და საუცხოო ქალი ყოფილა.

ბეგლარი წოდებით აზნაური იყო, აზნაურობის დამადასტურებელ სიგელს ოჯახი დღემდე ინახავს, უნიჭიერესი კაცი ყოფილა, „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად სცოდნია.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მათი ვაჟი ლუდოვიკო ჭანტურია ასეთი მწიგნობარი გამოსულიყო. ცნობილი ინტელექტით, კულტურით და რაც, იმ დროისათვის ყველაზე გასაკვირი იყო — მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკით. მათ ოჯახს კეთილშობილ „კარცერი — ლუქსს" ეძახდნენ.

კარცერი ლუქსში გაზრდილი შვილები კი მსოფლიოში ცნობილ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

ბავშვობიდან ლამაზი ოჯახი დაებედა, ორი ძმის ნებიერა ყოველთვის სითბოსა და ალერსს იყო მიჩვეული. ოჯახი მოგვიანებით შექმნა, მაგრამ ოცნება აქაც აუხდა. იმერლების რძალი გახდა. გურამ არიშვილის ჩანაფიქრიც კოლხი ქალი ყოფილა. ნატვრასა და ოცნებებზე აგებული ოჯახი მტკიცე აღმოჩნდა. ერთი გოგონა შეეძინა მარიამი, იგი რაჭველების რძალი გახდა, ბაკურაძეებმა დიდი სითბო აგრძნობინეს ქალბატონ ლუარას და უფრო მეტიც, მისი ნანატრი შვილიშვილი ალექსანდრე ბაკურაძე პოეტის საბავშვო პოეზიის მუზა გახდა. ბებომ არაერთი შეგონება უძღვნა მას:

,,მინდა სამშობლო გიყვარდეთ
მისი წარსული იცოდეთ,
იყავით სუფთა ნათელი
და სანთელივით იწვოდეთ".

პოეტის „გული ლოცვას ლექსად ამბობს", წერს, ხატავს და კოლხური მადლით აღავსებს ირგვლივმყოფთ.

აღუწერელია მისი პიროვნული ფასეულობები, შადრევანივით გადმოსდუღს სიყვარული, სიკეთე და თანადგომა. იარა მყარად და დადის მყარად და ივლის მყარად! პოეზიაა მისი ნავსაყუდელი, გული ზღვა არის, სული კი კელაპტარი.

,,მე პოეზიამ გადამარჩინა
და არე-მარეს ლექსებს გავმახი".

ამბობს პოეტი და უფალს თავის საყრდენად მიიჩნევს".

,,შენ თუ არა, ვინ მომხედავს, უფალო,
ვინ გაიგებს, ცოდვილს რად მეტირება,
ეს ცხოვრება მიმაქანებს სადღაც,
ვერ შევცვალე წუთისოფლის დინება".

ჭანტურიების ოჯახისთვის წუთისოფლის დინების შეცვლის საჭიროება სწორედ რომ არ არის. XVII საუკუნიდან დღემდე ბრწყინავს მათი წინაპრების გვარ-სახელები. დღეს კი ლუდოვიკო ჭანტურიას ოჯახი ოქროს კვალს ტოვებს მსოფლიო თუ ქართულ ცნობიერებაში, ქალბატონი ლუარა ზის ღამით, წყვდიადში ხედავს სამყაროს და აზრთა გროვას თეთრ ფურცელზე თავიანთ ალაგს მიუჩენს:

,,ვერ ვგრძნობდი წუთებს და წამებს,
ჩუმად დაღვენთილა სანთელი,
ღამე გალეულა ფიქრებში,
სარკმელს მოსდგომია ნათელი".

ნათელს მიღმა კი ანთებული კელაპტარია მუზების ჩანგით ამღერებული.

წიგნიდან „ლუარა ჭანტურიას ცხოვრების კვალდაკვალ"



მიმაჩნია, რომ ძალიან თავმდაბალი ვარ...

იშვიათი რესპონდენტია ჯაბა კანკავა და როცა ინტერვიუზე დაითანხმებ, სიტყვაუ-ხვობით არც მაშინ გამოირჩევა. არადა, ეროვნული ნაკრების კაპიტანთან სალაპარაკოს რა დალევს?! მით უმეტეს გერმანიასთან მატჩის შემდეგ... რით გააბრაზა ბასტიან შვაინშტაიგერი, რა უთხრა მოედანზე შეჭრილ ქართველ ფანს და რატომ არ უყვარს ინტერვიუს მიცემა, ჯაბა კანკავასთან ექსკლუზიურ ინტერვიუში წაიკითხავთ. საუბარი კი გერმანიასთან მატჩით დავიწყეთ:

- ასეთ გუნდთან თამაში ძალიან ძნელია - წამიერ მოდუნებასა და მცირე შეცდომასაც არ გაპატიებენ! უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრებს¬ ჰქონდათ, მაგრამ გოლებზე მაინც ძალიან მწყდება გული - შემთხვევითს ვერ დავარქმევ, თუმცა, ორივე ბურთი ისე გავიდა, შეიძლებოდა, არც გაგვეშვა...

- თამაშამდე ყველანი ვამბობდით, მთავარია, გერმანიასთან მატჩი დაწყებამდე არ წავაგოთ, მოედანზე შიშით არ გავიდეთო. შევძელით?

- ვფიქრობ, შევძელით. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე შიში არც ერთი თანაგუნდელისთვის არ შემინიშნავს! მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრას კი არა, ღელვა და დაძაბულობა ყველა მატჩს ახლავს, მთავარია, ნერვიულობამ თამაშში არ შეგიშალოს ხელი.

- მსოფლიო ჩემპიონთა შემადგენლობაში ყველა ვარსკვლავია, მაგრამ... მაინც ვინ იყო სტუმართა გუნდში ყველაზე სახიფათო?

- რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება - მესის მსგავსად გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავთ და არც სჭირდებათ - გერმანიის ნაკრები ერთი "მექანიზმია", სადაც ყველა თავის საქმეს აკეთებს და პასსაც დროულად იძლევა. და ამ ერთიანობის პარალელურად, სათითაოდ, ყველა ფეხბურთელს ეტყობა უმაღლესი კლასი!

-ერთ ეპიზოდში შენ და შვაინშტაიგერმა ერთმანეთზე გაიწიეთ. რა მოხდა იმ მომენტში?

- გერმანელები საჯარიმოს დასარტყმელად ემზადებოდნენ და რომ არ "გამქცეოდა", შვაინშტაიგერს ხელით ვიჭერდი. ამაზე გაბრაზდა და ძალიან აგრესიულად იქცეოდა, ბოლოს კი თავითაც წამოვიდა ჩემკენ... თუმცა, ეს ფეხბუ-

რთია, სადაც ჩხუბი ბოლომდე არასდროს მიდის, მატჩის დასრულების შემდეგ „საქმის გარჩევა" კი მეტიჩრობად მიმაჩნია!

- შეტევას თქვენც ცდილობდით, მაგრამ... ჰუმელსი და ბოატენგი "კლდესავით" იდგნენ დაცვაში, ერთი შეცდომაც არ დაუშვიათ!

- მხოლოდ ჰუმელსი და ბოატენგი რომ ყოფილიყვნენ, რაღა გვიჭირდა (იცინის), მაგრამ ბურთს სულ გერმანელები აკონტროლებდნენ, ჩვენ კი მუდმივად დაცვაში ყოფნა გვიწევდა. ასეთ დროს ორმაგად იღლები და როცა ბურთს იღებ, შესატევად არც ენერგია გყოფნის და აღარც ფანტაზია... ამის გამო, ფაქტობრივად, არც გვქონია შეტევის შანსი. არც კონტრშეტევები გამოგვივიდა... თუმცა, რამდენიმე მოთამაშეს მაინც აღვნიშნავ: ჭანტურია და ყენია კარგად ჩაერთვნენ თამაშში, ნაკრებში სხვა მოთამაშეებიც არიან, თამაშის "დალაგება" და შეტევის წამოწყება რომ შეუძლიათ - დვალი, ყაზაიშვილი, ძალამიძე და სხვ. ასე რომ, თუ სწორად მივუდგებით საქმეს, შეტევაშიც მეტი წარმატებით შევძლებთ თამაშს.

- მალტასთან მატჩში გატანილი პირველი გოლის დროს რა მოხდა? კუნძულელები ამტკიცებდნენ, კანკავამ ბურთი ხელით გაიტანაო...

- აშკარად რომ მომხვედროდა ხელზე, ხომ ყველა დაინახავდა?! ჩამოწოდებული ბურთისთვის რამდენიმე ფეხბურთელი ვიბრძოდით, ყველას დავასწარი და... ბიჭებმა მითხრეს, ბურთი სხვას არავის შეხებიაო და გოლი

მომილოცეს. ეს იყო და ეს...

- ვიცით, რომ შეტევას არც ქეცბაია გიშლიდათ, მაგრამ ფაქტია, რომ ნაკრები ახლა უფრო მეტად იწევს შესატევად! რა შეიცვალა ნაკრებში კახა ცხადაძის მოსვლის შემდეგ?

- ჯერ ნაადრევი მგონია იმაზე ლაპარაკი, როგორ შეიცვლება ნაკრების თამაში. ყველა მწვრთნელს თავისებური სათამაშო სქემა და ტაქტიკა აქვს - ქეცბაიას თავისი სტილი ჰქონდა, ცხადაძეს თავისებური აქვს და ა.შ. ვეცდებით, მწვრთნელის დავალებები შევასრულოთ და რა გამოვა ამ საქმიდან, მომავალი გვიჩვენებს.

- სიმკაცრე თუ მეგობრობა? როგორ ეტყობა, რა გზას ამჯობინებს ახალი მწვრთნელი ნაკრების ფეხბურთელებთან საურთიერთოდ?

- თუ ფეხბურთელი მოუმზადებელი გამოცხადდა სანაკრებო შეკრებაზე, მეგობრულად მიუდგები თუ მკაცრად, მაინც ისე ითამაშებს, როგორც უნდა და როგორც შეუძლია! ეროვნული ნაკრები პროფესიული დონეა და მწვრთნელი როგორც უნდა მოექცეს

არ მიმაჩნია, რომ ძალიან თავმდაბალი ვარ, ცხოვრებაშიც ვარ ხოლმე აგრესიული - გააჩნია ვითარებას და ხასიათს

ფეხბურთელს, გადამწყვეტი მაინც მოედანია. მთავარია, როგორ ითამაშებ და შეასრულებ მწვრთნელის დავალებას.

- გერმანიასთან მატჩის შესვენება იწყებოდა, მინდორზე მაყურებელი რომ შეიჭრა და დემონსტრაციულად "გაგიწმინდა" ბუცები. შეგეტყო, რომ დაიბენი...

- დავიბენი კიდეც, რადგან ასეთ რამეს არ ველოდი. თანაც, ძალიან მომერიდა, უხერხულად ვიგრძენი თავი. იმ ბიჭსაც ვუთხარი, ჯიგარი ხარ, მაგრამ ასეთი რამ არ უნდა გაგეკეთებინა, ზედმეტი იყო-მეთქი...

- სტიუარდებსაც ხომ უთხარი რაღაც?

- უხეშად გაჰყავდათ მოედნიდან და ვთხოვე, უფრო ზრდილობიანად მოექეცით-მეთქი... იმედია, მოედანზე ამდენი ქომაგის შემოჭრის გამო, "დინამო არენას" მკაცრად არ დასჯიან.

- გიორგი მერებაშვილთან დაკავშირებულ ამბავზე რას ფიქრობს ნაკრების კაპიტანი? გვინდა, გვჯეროდეს, რომ საქმე მხოლოდ ცხელ გულზე ნათქვამ სიტყვებთან გვაქვს და ნაკრებში ბოლო წლებში დამკვიდრებული უსიამოვნო ტრადიცია აღარ გაგრძელდება...

- კიდევ ერთხელ გავიმეორებ - კონფლიქტების გამომზეურების და პრესაში გადატანის მომხრე არა ვარ! უკეთესი იქნება, ყველამ თავი შევიკავოთ და პირადი წყენა პირადად გავარკვიოთ და არა გაზეთების მეშვეობით...

- "დნიპროზეც" ვთქვათ. ევროპის ლიგის მეოთხედფინალში ბელგიურ "ბრიუგეს"

მუდმივად დაცვაში გვიწევდა ყოფნა. ასეთ დროს ორმაგად იღლები და როცა ბურთს იღებ, შესატევად არც ენერგია გყოფნის და აღარც ფანტაზია.

შეხვდებით. სუპერთასის მატჩს წელს თბილისი მასპინძლობს და, ალბათ, ევროპის ლიგაზე ჩემპიონობას შენთვის ორმაგი ფასი აქვს...

- სუპერთასის მატჩში მონაწილეობაზე ფიქრი ძალიან ნაადრევია. ჯერ მხოლოდ მეოთხედფინალში ვართ და დასამარცხებელი გვყავს "ბრიუგე", რომელიც ძალიან ძლიერი გუნდია!

- მინდორზე ნამდვილი კაპიტანი და ლიდერი ხარ - შეუპოვარი, აქტიური, აგრესიულიც კი. მოედანს მიღმა კი რადიკალურად განსხვავებული - მშვიდი, წყნარი, თავმდაბალი...

- არ მიმაჩნია, რომ ძალიან თავმდაბალი ვარ (იცინის). ცხოვრებაშიც ვარ ხოლმე აგრესიული - ისევე, როგორც ყველა. გააჩნია ვითარებას და ხასიათს...

- დნეპროპეტროვსკი ფრონტის ხაზიდან მოშორებით არის, მაგრამ ომის „სურნელი“, ალბათ, მთელ უკრაინაში იგრძნობა... ეს ყველაფერი ფეხბურთზეც აისახა?

- რა თქმა უნდა. უკრაინული კლუბების უმეტესობა ფინანსურ კრიზისს განიცდის და ფეხბურთელი ხელფასს რომ არ იღებს, ბუნებრივია, ეს მის თამაშზეც აისახება. საბედნიეროდ, "დნიპროში" ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია.

- დონეცკის „შახტარის" 19-წლამდელთა გუნდი, რომელშიც ბექა ვაჩიბერიძე ბრწყინავს, ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა. ბექასთან ან უკრაინაში მოთამაშე სხვა ქართველებთან თუ ურთიერთობ?

- ვაჩიბერიძეს არ ვიცნობ, ქართველი ფეხბურთელებიდან კი, ძირითადად, სანდრო კობახიძეს ვეხმიანები.

- ოლეგ გუსევის გადარჩენის შემდეგ, მთელი უკრაინა შენს გმირობაზე ლაპარაკობდა. როცა ერთმანეთს ხვდებით, თავად გუსევი რას გეუბნება ხოლმე?

- გუსევი მას შემდეგ არ მინახავს.

- თუმცა, ჟურნალისტებისთვის ეს თემა ისევ აქტუალურია და „საფეხბურთო გმირობების" ათეულშიც მოხვდა. საინტერესოა, მედიის წარმომადგენლები ხშირად გისვამენ უცნაურ კითხვებს?

- ერთმა თქვენმა კოლეგამ მკითხა: სტიმულია თუ არა შენთვის ნაკრებში გამოძახებაო? - რა უნდა მეპასუხა?!

- ჟურნალისტებთან ურთიერთობასაც ასეთი კითხვების გამო ხომ არ არიდებ თავს?

- არა, უბრალოდ, არ მიყვარს ზედმეტი ლაპარაკი, არაფრისმომცემი ინტერვიუები, ყოველი მატჩის შემდეგ კომენტარის გაკეთება და ა.შ.

- უდიდესი სტიმული რომ არის, ვიცი, ამიტომ სხვაგვარად გკითხავ: რას ნიშნავს ჯაბა კანკავასთვის ეროვნული ნაკრების კაპიტნობა?

- გრძნობას, რომლის გადმოცემაც შეუძლებელია, შესაძლებლობას, მოედანზე დაამტკიცო, როგორ გიყვარს შენი სამშობლო! ნაკრების კაპიტნობა დიდი პატივი და სიამოვნებაა, იმავდროულად კი, უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაც!

რატი შელეგია

ჩვენ სოსლოვს ვემიჯრებინ დედებს ვეცხრილეჩქი

ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ლიტურგიის დასრულების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ საქართველოდან წასულ დედებს თხოვნით მიმართა, რომ სამშობლოში საკუთარ ქმარ-შვილთან დაბრუნდნენ. „დღეს შემოვიდა მანკიერი წესი, დედები ტოვებენ თავის ოჯახებს, მიდიან უცხოეთში და ქმარ-შვილი უპატრონოდ რჩებათ სახლში. ზოგიერთი ფიქრობს, არ არის სამუშაო, არ არის სამსახური. ეს არ არის სწორი. ყველაზე დიდი ქომაგი ადამიანისა, ყველაზე დიდი დამხმარე ჩვენი დედამიწაა. ღმერთმა მოგვცა ჩვენ დედამიწა ისეთი მადლიანი, რომ ადამიანი თუ მიწაზე იშრომებს, ბედნიერი იქნება. მე მინდა მოგმართოთ ყველას, მივმართო მათ, ვინც წასულია, ვინც უცხოეთშია, დაბრუნდით სახლში, სახლი უკეთესია. საქართველოსთანა ქვეყანა მსოფლიოში არ მოიძებნება, დაბრუნდით და იშრომეთ. ერთმა საქმემ თუ არ გაგიმართლათ მიხედეთ მეორეს, მესამეს, მეათეს. არ შეიძლება ასეთ ქვეყანაში როგორიც არის საქათველო, უმუშევარი იყოს ადამიანი. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხალხი დაბრუნდება სამშობლოში და ყოვლადწმინდა ღვთსმშობელი დედა დაეხმარება მათ, სიუხვე და მადლი ჰქონდეთ“,- ბრძანა პატრიარქმა.

როგორ ეხმაურებიან ემიგრანტი დედები პატრიარქის თხოვნას

ნინო ნატროშვილი (იტალია): 15 წელია აქ ვარ. ბევრმა ჩვენგანმა აქ წამოსვლის მერე ქმარიც კი დაკარგა. როგორი მწარეა, როცა დასვენების დღეებში კი არ ისვენებ, რომ შენს ოჯახს მეტი გაუგზავნო და აღმოაჩენ, რომ შენი მეუღლე შენი გაგზავნილი ფულით სხვა ქალს ინახავს. მე ასე დამენგრა ოჯახი. როგორ გგონიათ სხვა გზა რომ გვქონოდა, ასეთ რამეს დავუშვებდით? შვილების გამო ყველაფერს ვიტანთ. მათი მომავლის გამო საკუთარ ცხოვრებას ვწირავთ. მერე ეს შვილები იზრდებიან, გვიუცხოვდებიან, ჩვენს არ ყოფნას ეჩვევიან. მხოლოდ ჩვენი გაგზავნილი ფული სჭირდებათ. საქართველოში ჩამოსვლისას თავს უცხოდ ვგრძნობთ საკუთარ ოჯახებში. ამიტომაც ბევრი ისევ უკან ბრუნდება. ჯერ მარტო ამის გააზრება რამხელა ტკივილს გვაყენებს, მაგრამ რა ვქნათ, რომ დედობრივი გრძნობა უანგაროა. დედისთვის ის უფრო გაუსაძლისია, როცა მისი შვილი მშიერია და თავს უბედურად გრძნობს. ამიტომაც მოვდივართ აქ. მესმის პატრიარქისაც ის ოჯახების გადარჩენას ცდილობს და ამიტომ გააკეთა ეს მოწოდება, მაგრამ ჩვენიც უნდა გაიგონ. უფრო მტკივნეული და გაუსაძლისი იქნება თუ ამის გამო გაგვკიცხავენ. რამდენიმე დაბრუნდა კიდეც და ვერ გაუძლეს. სახლში უარესი პრობლემები დახვდათ. ზოგმა დაბრუნების მიუხედავად მაინც ვერ შეძლო ოჯახის გადარჩენა.

ხათუნა ბერიძე (საბერძნეთი): პატრიარქს განსაკუთრებულ პატივს ვცემ და ჩემთვის ცოტა გასაკვირიც იყო ასეთი განცხადება. ალბათ მან იმ ქალბატონებზე გააკეთა აქცენტი, რომლებმაც საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ ოჯახები მიატოვეს და ცხოვრება ახლიდან დაიწყეს. ასეთები ბევრნი არ არიან. უმრავლესობა კი ოჯახის გამო საშინელ ტანჯვას გავდივართ. ავადმყოფ მოხუცებს ვუვლით, ზოგი ფსიქიკურად დაავდებულსაც და საშინელ დღეში გვაგდებენ. ყველაფერს ვიტანთ იმის გამო, რომ შვილებს სწავლის შესაძლებლობა მივცეთ და საკუთარი ჭერი ჰქონდეთ. ჩემს ოჯახს სახლი არ ჰქონდა. ვალების გამო დავკარგეთ. შვილებთან ერთად ქუჩაში რომ არ აღმოვჩენილიყავი და საკუთარი ჭერი გვქონოდა იმიტომ წამოვედი. ასეთი დიდი თანხის შეგროვებას წლები სჭირდება, თან ყოველთვიურად საარსებო თანხაც ხომ უნდა გავაგზავნო. მერე სტუდენტები გახდნენ და სწავლის ფულის შეგროვება მომიწია. იმედს ვიტოვებ პატრიარქს ჩვენნაირი ქალბატონები არ უგულისხმია. წლობით უნახავი შვილების მონატარებას და მძიმე შრომას ზოგჯერ საშინელ დეპრესიამდეც კი მივყავართ. ჩემი ნაცნობებიდან სამმა ქალმა თავის მოკვლაც კი სცადა, აქედან ორი ვერ გადარჩა. არჩევანი რომ გვქონდა, დაბრუნებას ვინ დაგვასწრებდა.

თამარ მეგრელიშვილი (იტალია): მიუხედავად პატრიაქისადმი დიდი პატივისცემისა, მის ამ განცხადებას ვერ დავეთანხმები. თქვენო აღმატებულებავ, ეს უთხარით მთავრობას და იმ სახელისუფლებო ორგანოებს, რომლებმაც ქვეყანაში უნდა შექმნან სამუშაო ადგილები, რათა დედებმა ატირებული შვილები არ დატოვონ და ასეთ სტრესსა და თავიანთი ახალგაზდობის თუ სიბერის წლები გაჭირვებაში არ გაატარონ. ეს ერთი და მეორე ის, რომ არა ამ ატირებული დედების, ცრემლიანი, მოწყენილი სახეებით ნამუშევარი, გადარჩებოდა საქართველო?! მე ერთი მორიგი მოკვდავი ვკითხულობ, ვინ გადაარჩინა საქართველო?! ვინ თუ არა ამ დედებმა, ვინ თუ არა ემიგრაციამ?! ამ ყველაფერს ტკივილი გვალაპარაკებს და არა შური და განკითხვა... და რაც შეეხება სოფელს და მიწას... მიწასთან მუშაობა არა მგონია იოლი იყოს, მიწასთან მუშაობას ტექნიკა სჭირდება, რომელიც ჩვენ გაღატაკებულ ქვეყანას არ გააჩნია და ძალა სჭირდება, რომელიც ხალხს გამოელია. დაიღალა ხალხი. დავიღალე ყველაფრით... დავიღალეთ... დავიღალეთ მილიარდელების მუცლის არგაძღომით, დავიღალეთ სხვისი კაპრიზებითაც. ნუთუ არ მოიძებნება ქვეყანაში ადამიანი, ვინც წარუძღვება და მიხედავს ამ ქვეყანას ისე, რომ როგორც თქვენ ამბობთ, მოდაში არ იყოს საზღვარგარეთ წასვლა და ქართული მიწის მიტოვება?!

ჟან შარდენი სამეგრელოს შესახებ

ჟურნალი „სამეგრელო“ აგრძელებს ციკლს „მოგზაურის ჩანაწერები“, სადაც გაგაცნობთ შარდენისეულ აღწერას სამეგრელოსა და მეგრელების შესახებ.

გზა პარიზიდან სამეგრელომდე, ჟან შარდენის მოგზაურობა, რომელიც 10 ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი სიცოცხლეშივე გამოიცა ლონდონში, 1686 წელს.

1672 წლის 19 ივლისს ბერძენმა ვაჭარმა, რომელიც სამეგრელოში უნდა გამყოლოდა, შემატყობინა, რომ ჩვენი გემი შავ ზღვაში გასვლას აპირებს და მხოლოდ ამინდს ელოდებაო. მე გადავწყვიტე მაშინვე ავსულიყავი გემზე, მაგრამ მეგობრებმა მირჩიეს დამეცადა, ვიდრე გემის გასამგზავრებლად მომზადება არ დამთავრდებოდა, რადგანაც როგორც ისინი ამბობდნენ, შეიძლება გამჭღავნებულიყო, რომ ფრანგი ვიყავი. ამიტომ სამი დღე გავატარე ბოსფორში, გენუის რეზიდენტის გრაფ სინიბალდი ფიესკის ქალაქგარეთა სახლში, ხოლო შემდეგ ოთხი დღე ვიყავი არხის ბოლოში, ევროპის მხარეს მდებარე მშვენიერ ბერძნულ მონასტერში, იმ ნავსადგურის პირდაპირ, სადაც ჩვენი გემი ქარს ელოდებოდა ასე აღწერს შარდენი სამეგრელოში შემოსვლას.

კოლხების (მეგრელების) ენა წარმოსდგება იბერიულიდან ანუ ქართულიდან, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ბერძნულიდან არის წარმოშობილი. სამწერლო ენა ხალხურისაგან განსხვავდება. არავითარი წერილობითი ძეგლი საერთოდ არა აქვთ, თუ არ ჩავთვლით ბიბლიის ტექსტს, რომლისგანაც მხოლოდ ახალი აღთქმაა შემონახული და ლიტურგიკას: ორივე ძეგლი დაწერილია ასომთავრულით. ამრიგად, ძველი კოლხური ენა მკვდარი ენაა, რომლის აღდგენა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია. სამღვდელოებას წირვა-ლოცვისა არაფერი ესმის, მიუხედავად იმისა, რომ მას ასრულებენ ან უნდა აღასრულონ ყოველდღიურად.

სამეგრელო დღეს ნაკლებად არის დასახლებული, აქ ოცი ათასი მაცხოვრებელი თუ იქნება. სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინათ მისი მოსახლეობა ორმოცი ათასს შეადგენდა. მოსახლეობის ასეთი შემცირების მიზეზია მეზობლებთან წარმოებული ომები და აგრეთვე თავადაზნაურობის მიერ უკანასკნელ წლებში ორივე სქესის მრავალი ადამიანის გაყიდვა. დიდი ხანია, რაც სამეგრელოდან ყოველწლიურად თორმეტი ათასი კაცი გაჰყავთ გასაყიდად ან გასაცვლელად. ისინი ხელში უვარდებიან მაჰმადიანებს — სპარსელებს და თურქებს, რადგან მათზე მოთხოვნილება მხოლოდ მათ აქვთ. ყოველწლიურად სამი ათასი კაცი მიჰყავთ კონსტანტინოპოლში, სადაც მათ ქსოვილებზე, იარაღსა ან სხვა საქონელზე ცვლიან, რომელიც როგორც აღვნიშნე, სამეგრელოში შემოაქვთ.

ყოველ წელს აქ მოდის თორმეტიოდე იალქნიანი გემი კონსტანტინოპოლიდან, კაფადან და სამოცზე მეტი ფელუკა გონიოდან, ირისიდან, ტრაპიზონიდან. ისინი სამეგრელოში იტვირთება — ტყვეების გარდა — აბრეშუმით, სელის ძაფით, ტილოთი და სელის თესლით, ხარის ტყავებით, კვერნის და თახვის ბეწვით, ბზით, ცვილითა და თაფლით. სამეგრელოს თაფლი საუცხოოა; აქ ორგვარი თაფლია — ყვითელი და თეთრი: თეთრი უფრო იშვიათია, ვიდრე ყვითელი, მაგრამ ბევრად უკეთესია და უფრო ტკბილია. კვნიტი შაქარი მასზე ტკბილი როდია; მეტად სასიამოვნო საჭმელია და პირშიც დნება. გარდა შინაური თაფლისა, არის აგრეთვე გარეული თაფლიც, რომელიც ხეების ფუღუროებსა და ნაპრალებში უხვადაა. კაფას გემები მას სათათრეთში ეზიდებიან, სადაც მარცვლეულთან თაფლის შერევით ძალიან მაგარ სასმელს ამზადებენ. თურქები დიდ მოგებას იღებენ სამეგრელოდან გატანილი საქონლით — ოთხ ეკიუდ ყიდიან იმას, რაშიც ერთი ეკიუ აქვთ მიცემული. განსაკუთრებით ბევრს იღებენ ტყვეებზე.

ერთმა აზნაურმა ერთ დღეს თორმეტი მღვდელი გაჰყიდა. ამ ბოროტების ამბავი იმდენად საოცარია, რომ იგი, როგორც უმაგალითო შემთხვევა, ღირსია აღწერისა. ამ აზნაურს ერთი ქალიშვილი შეჰყვარებია და მისი შერთვა გადაუწყვეტია, თუმცა უკვე ცოლიანი იყო. ქალს ხელი სთხოვა და თანხმობაც მიიღო. მეგრული წეს-ჩვეულების მიხედვით ქალს ყიდულობენ. ფასი დამოკიდებულია ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, მის ასაკსა და სილამაზეზე. ამ აზნაურს სატრფოს მშობლებისათვის აღთქმული საჩუქრებისა და საქორწილო სახსრების შოვნის ერთადერთ წყაროდ ადამიანების გაყიდვა ეგულებოდა. მისმა ქვეშევრდომებმა გაიგეს თუ არა მისი განძრახვა, გაექცნენ მას და თან ცოლ-შვილიც წაიყვანეს. იმედგაცრუებულმა აზნაურმა ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული ვერაგობა მოიგონა. მან საზეიმო წირვის შესასრულებლად და ზვარაკის შესაწირავად თორმეტი მღვდელი მოიწვია თავისთან. მღვდლებიც გულუბრყვილოდ მოვიდნენ. მათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ განზრახული იყო მათი თურქებისათვის მიყიდვა, რადგანაც მსგავსი რამ სამეგრელოში არასოდეს მომხდარა. აზნაურმა ისინი კარგად მიიღო, წირვა აღასრულებინა, ზვარაკად ხარი დააკვლევინა და მათვე გაუმასპინძლდა. როდესაც მღვდლები მაგრად გამოათრო, თავის ხალხს უბრძანა ისინი შეეპყროთ, ბორკილები დაედოთ და თავპირი გაეპარსათ მათთვის. მეორე ღამეს მღვდლები თურქეთის გემზე წაასხა, საოჯახო ნივთებსა და ბარგი-ბარხანაზე გაცვალა, მაგრამ რადგანაც მონაგარი სატრფოს ყიდვისა და საქორწილო ხარჯებისათვის არ ყოფნიდა, ამ მხეცმა თავისი ცოლიც წაიყვანა და იმავე გემზე გაყიდა:

სამეგრელოს მთელ ვაჭრობას გაცვლითი ხასიათი აქვს და წარმოებს ბაზრობაზე, რომელიც მონაცვლეობით სხვადასხვა ადგილზე ტარდება; აქ მარაგდებიან ყოველივე აუცილებლობით, ისევე როგორც სავაჭროებში, საქონელს საქონელში ცვლიან. ხალხში ფულს დადგენილი ღირებულება არა აქვს. ხმარებაშია: პიასტრები, ჰოლანდიური ეკიუ და აბაზი, რომელიც მოჭრილია საქართველოში სპარსული ყაიდით და მისი ღირებულებაა თვრამეტი სოლი. სამეგრელოს მთავარმა, რომელიც ოცი წლის წინათ გარდაიცვალა, დაიწყო ფულის მოჭრა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, შემოზიდული ვერცხლის მცირე რაოდენობის გამო და აგრეთვე, იმიტომაც, რომ ვერცხლი ადგილობრივად სრულიად არ მოიპოვება; აქ არ წარმოებს აგრეთვე არც ოქროს და არც სხვა ლითონის მოპოვება. არ ვიცი რა ბედი ეწვია იმ ოქრონარევ ხრეშსა და სილას, რომელსაც, ძველი მწერლების სიტყვით, ცხვრის ტყავით აგროვებდნენ და რომლის საფუძველზეც შეიქმნა მათი ოქროს საწმისი. კოლხიდაში (სამეგრელოში) ოქრო არსად არ არის, არც მთებში, არც მდინარეებში და სადაც არ უნდა წახვიდე, ვერსად ვერ ნახავ ვერავითარ საფუძველს ამ ანტიკური ამბის თანამედროვე მდგომარეობასთან შესათანხმებლად.

მთელ სამეგრელოში მხოლოდ ოთხი ათასი მეომარია, რომლებიც ფაქტობრივად თითქმის მხოლოდ მხედრები არიან. ამ კავალერიასთან ერთად მხოლოდ სამასკაციანი ქვეითი ჯარი ჰყავთ. მეომრები არ არიან გაერთიანებულნი სამხედრო შენაერთებსა და რაზმებში. თითოეულ მებატონესა თუ აზნაურს თავისი ხალხი ბრძოლაში გამოჰყავს ყოველგვარი წესების, წყობისა და ოფიცრების გარეშე და ისინი მუდამ თან ახლავენ, მათ, როგორც უკან დახევისას, ისე მტრებზე თავდასხმის დროს.

მეგრელებისა და მათი მეზობლების ომები არსებითად თავდასხმას და ძარცვას წარმოადგენს. როცა მტერს უტევენ, ბრძოლას მძაფრი ხასითი აქვს, რადგან მეგრელებს მამაცობა და შეუპოვრობა არ აკლიათ. თუ მტერი გააქციეს, მას ფეხდაფეხ მისდევენ, იჭრებიან მის ქვეყანაში, წვავენ, ძარცვავენ, მას, ატყვევებენ ყოველგვარი ჯურის ხალხს და სწრაფადვე ბრუნდებიან უკან. ტყვეები რაც შეიძლება მეტი მიჰყავთ. თუ მხედარი გადმოაგდეს უნაგირიდან, მაშინვე ჩამოხტებიან ცხენიდან, დამარცხებულს შებოჭავენ იმ თოკით, რომელსაც როგორც უკვე აღვნიშნე, ქამარზე ატარებენ და საკუთარ მხლებლს მიაბარებენ ხოლმე. შეპყრობილის სიკვდილ-სიცოცლის საქმე დამტყვევებლის ხელთაა, რომელიც თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია მოექცეს მას; ჩვეულებრივად ტყვედ აქცევს და შემდეგ თურქებს მიჰყიდის. თავდასხმის დროს ისინი რომელიმე მდინარის ფონს იკავებენ და საფარიდან თოფს უშენენ მტერს, რათა ხელი შეუშალონ მდინარის გადალახვაში. თუ მტერმა სძლია მათ, გარბიან და თავს აფარებენ ტყეს, ტოვებენ რა თავიანთ ქვეყანას ღვთის ანაბარა. ამრიგად, ამ ხალხის ბრძოლები არ არის ხანგრძლივი; ნახევარ თვეში ყველაფერი მთავრდება. ქვეყნის დარბევის შემდეგ მტერი უკან მიდის.

სამეგრელოს მთავრის წლიური შემოსავალი ოცი ათას ეკიუს აღწევს. ამ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ბაჟი სამეგრელოში შემოტანილ და გატანილ ყოველგვარ საქონელზე, ადამიანების გაყიდვა და თვითნებურად შეწერილი გადასახადები. მთავარი მთელ შემოსავალს ინახავს სკივრებში, რადგან მას არც ერთი დომენის დახარჯვა არ უხდება. ქვეშევრდომები მთავარს უსასყიდლოდ ემსახურებიან, სამამულო დომენი კი იმდენ სურსათ-სანოვაგეს იძლევა, რომ მთელ მის კარს ყოფნის და რჩება კიდეც.

მთავარი სპარსეთის ხელმწიფეს ხშირად უგზავნის შევარდნებს და ყველა სახის მტაცებელ ფრინველს. სამაგიეროდ, ხელმწიფე ოქროქარგულ ფარჩეულობას აბრეშუმს, ნოხებს, იარაღს, ჭურჭელს და მრავალ სხვა ისეთ ნივთს უგზავნის, რაც სჭირდება ისეთ ღარიბ მთავარს, როგორიც არის სამეგრელოს მთავარი. მსგავსი ურთიერთობა აქვს მას საქართველოს ხანთან. საზეიმო დღესასწაულებზე მის კარზე ორასი აზნაური იყრის თავს. სხვა აზნაურების გარდა, სამასი კაცისაგან შედგება, მთავრის შეუღლისა კი — ორივე სქესის ასი კაცისაგან. დიდ დღესასწაულებზე მას სამოცზე მეტი წარმოსადეგი და კარგად მორთული სეფე-ქალი ახლავს.

ვფიქრობ, რომ ძველ დროში კოლხებს იგივე სარწმუნოება ჰქონდათ, რაც ბერძნებს. ეკლესიის ისტორიკოსთა ცნობებით კოლხიდის მეფე, დედოფალი და დიდებულები იესო ქრისტეს რჯულზე ერთმა მონა ქალმა მოაქცია კონსტანტინე დიდის დროს, რომელმაც ახლადმოქცეულთ მღვდლები და სწავლული ღვთისმეტყველები გამოუგზავნა, რათა ისინი მოენათლა და ქრისტეს მოძღვრება ესწავლებინათ მათთვის. სომხური გადმოცემით, ამ მონა ქალს სახელად ნინო ერქვა. სხვა წყაროების მიხედვით მათ ქრისტიანული მოძღვრება გაიცვნეს ვინმე კირილეს მეოხებით, რომელსაც სლავები თავიანთ ენაზე „კიუზილს“ უწოდებენ და რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით 860 წ. მეგრელები მიგვითითებენ ზღვის ნაპირას მდ. კორაქსის (კოდორის) ახლოს ერთ ადგილზე, რომელსაც ბიჭვინთა ჰქვია და სადაც ძალიან დიდი სამნავიანი ეკლესია დგას. ისინი ირწმუნებიან, რომ იქ, სადაც ეკლესია არის აშენებული, წმ. ანდრია ქადაგებდაო. ეკლესია მე შორიდან ვნახე. იგი, რამდენადაც ამის შესახებ ერთი მილის სიშორიდან შეიძლება ვიმსჯელოთ, ძველი ნაგებობა უნდა იყოს. იქ კათალიკოსები წელიწადში ერთხელ ჩადიან ზეთის დასამზადებლად, რასაც ბერძნები მირონს უწოდებენ. იგი წარმოდგება სიტყვა „მურონისაგან“, რაც არაბეთის თეთრ საცხებელს ნიშნავს. აღმოსავლეთის ქრისტიანებმა მათი მცდარი რწმენების გამო წმინდა რიტუალში მირონცხება შეიტანეს, რამაც დიდი მოგება მისცა პატრიარქებს, რომლებიც ძვირად მიჰყიდდნენ ხოლმე მას თავიანთ სამღვდელოებას. სარწმუნოების შესახებ მე არც ერთ მეგრელთან არ მიმსჯელია, რადგან ვერავის შევხვდი ისეთს, რომელმაც იცოდა თუ რა არის სარწმუნოება, კანონი, ცოდვა, წმინდანთა საიდუმლოება და ღვთისმსახურება. ამ მხრივ შევნიშნე მხოლოდ ის, რომ ქალები ანთებენ პატარა სანთელს, ამაგრებენ მას თავისი სახლის ან ეკლესიის კარზე, ამავე დროს აკმევენ მცირეოდენ საკმეველს და მზისკენ მიბრუნებულნი ძლიერ მოიხრებიან და მრავალგზის გადაიწერენ პირჯვარს თავით ფეხამდე.

საეკლესიო ცერემონიალს, წირვას და ნათლობას მღვდლები და ეპისკოპოსები ასრულებენ, მე მინახავს ისინი მღვდელმსახურების დროს, რომელსაც არავინ ესწრებოდა იმის გამო, რომ ღვთისმოსაობა აკლდათ.

რადგან მე არ მესმოდა არც მეგრული, არც ქართული და ვერც ვერავინ ვიპოვე ენის მცოდნე, არ მქონდა შესაძლებლობა მათთან საუბრის საშუალებით დამედგინა, თუ რას წარმოადგენს მათი სარწმუნოება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების რელიგიის საკითხების უკეთ გასარკვევად, უმჯობესი იქნება გაგაცნოთ პატრი დონ იოსებ მარი ძამპის, მანტუელი იტალიელის თეათინელების პრეფექტისა და კოლხეთში მყოფი მისიონერის რელაცია; იგი მისი ხელით არის დაწერილი, არსად დაბეჭდილა და არც დასრულებულია. ეს ნაშრომი, რომელიც მასთან ყოფნის დროს გადმომცა, ამ პატრს აქ გატარებული ოცდასამი წლის შემდეგ დაუწერია. ამდენად, მას უნდა სცოდნოდა ბევრი რამ ღვთისმსახურებისა და სარწმუნოების შესახებ; დარწმუნებული ვარ, რომ მან ეს ნაშრომი კეთილსინდისიერად შეასრულა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ახალი ლექსი

გივი სიხარულიძე

ზეცაში დაფრინავ მუზით

ვახტანგ ღლონტს

მიწაზე დადიხარ,
მიწას არ ეხები,
ზეცაში დაფრინავ მუზით,
დროებით ყავხარ ღმერთს ჩამოშვებული
ამ ღვთიურ მიწაზე ღუზით,
ამიტომ დადიხარ დედამიწაზე
მომგებიანი ტუზით,
რადგან ფასი იცი შენი ჰოეზიის
ვერავინ გნახავს კუზით.
დღეს მართალია სადღაც საჭეებთან
მედროვე ჰოეტნი უზით,
ყველას ექვსიანი უჭირავს ხელში
შენ კი ანადგურებ ტუზით.

ვის მიუძღვნა გალაკტიონმა „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“

ერთ-ერთ წვეულებაზე ქეთევანს კიდევ ბევრი ლექსი წაუკითხავს. შესაბამისად, გალაკტიონიც ბევრჯერ მთხვევია ხელზე. ამის გამო მამას უეჭვიანია და უხეშადაც მოქცეულა... დედა იხსენებდა ხოლმე, - ისეთი ბედნიერი ვიყავი, ჩემი უსაყვარლესი პოეტი ასეთ პატივსა და მოკრძალებას რომ გამოხატავდა, მამაშენმა კი ყველაფერი ჩამიმწარაო.

გალაკტიონის ცნობილ ლექსზე - „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!" - არაჩვეულებრივი სიმღერაც დაიწერა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, ვინ არის ლექსში ნახსენები „მშვენიერი ქალი", რომელმაც „გადიწერა ჩუმად" გალაკტიონის ლექსი.

ჩვენი რესპონდენტი ეკატერინე (დადა) ცქვიტარია სოხუმელი გახლავთ.

- სამწუხაროდ, აფხაზეთი მართლაც ასე შორია... მოგეხსენებათ, გალაკტიონსაც ძალიან უყვარდა, არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი აფხაზეთისადმი, სადაც „მიიმღერა-მოიმღერა... ხვითომ", სახლიც კი ჰქონდა სოხუმში. ერთ-ხელ, სოხუმში ყოფნისას, ნაცნობ ოჯახს მიუწვევია დიდი პოეტი და ცნობილი ლიტერატორი გერონტი ქიქოძე. მასპინძლებს სხვა სტუმრებიც ჰყოლია, მათ შორის ჩემი ახალშეუღლებული მშობლებიც ჰყავდათ დაპატიჟებული. დედას ძალიან უყვარდა გალაკტიონის პოეზია და მისი ლექსები ზეპირად იცოდა. გალაკტიონს პირველსავე სადღეგრძელოზე უკითხავს: აბა, ბიძიკო, ჩემი ლექსი თუ იცით ვინმემო. დედას წაუკითხავს ერთ-ერთი... დედა არაჩვეულებრივი გარეგნობის ქალი იყო და ლექსებსაც საოცრად კითხულობდა, რაშიც გამორჩეული ხმის ტემბრი ეხმარებოდა. გალაკტიონს კმაყოფილების ნიშნად წვერზე ხელი ჩამოუსვამს, ქათინაურიც უთქვამს და ხელებიც დაუკოცნია.

დედას სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ ამ ლექსში მოხსენიებული მშვენიერი ქალი იყო, რომელმაც გადიწერა ჩუმად მისი ლექსი...

ამ წვეულებაზე დედას კიდევ ბევრი ლექსი წაუკითხავს. შესაბამისად, გალაკტიონიც ბევრჯერ მთხვევია ხელზე. ამის გამო მამას უეჭვიანია და უხეშადაც მოქცეულა... დედა იხსენებდა, - ისეთი ბედნიერი ვიყავი, ჩემი უსაყვარლესი პოეტი ასეთ მოკრძალებას რომ გამოხატავდა, მამაშენმა კი ყველაფერი ჩამიმწარაო...

- წვეულება როგორ დასრულდა?

- წვეულება დასასრულს უახლოვდებოდა, რომ გალაკტიონს კიდევ ერთხელ უკითხავს, კიდევ ხომ არ წაიკითხავდით ლექსსო? დედას ისეთი ლექსი წაუკითხავს, რომელიც საბჭოთა ცენზურას აკრძალული ჰქონდა და არსად დაბეჭდილა.

გალაკტიონი გაოცებულა - ეს ლექსი საიდან იცითო? დედას უპასუხია, - მეგობრისგან „გადვიწერე ჩუმადო".

გალაკტიონი აღფრთოვანებას ვერ მალავდა - ქალბატონო ქეთევან, ლექსი უნდა მოგიძღვნათო, უთქვამს. მერე სუფრიდან ხელსახოცი აუღია და ზედ რაღაცა დაუწერია. მის გვერდით მჯდომ გერონტი ქიქოძეს მაშინვე ჯიბეში ჩაუდვია და იქაურობას გასცლიან... რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდა ლექსი - „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი". ის „მშვენიერი ქალი", გალაკტიონის ლექსიდან, ქეთევან ჯაფარიძე გახლდათ. დედასაც სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ ლექსში მოხსენიებული „მშვენიერი ქალი" იყო, რომელმაც „გადიწერა ჩუმად" მისი ლექსი...

ეკა სალაღაია

ბივი სიხარულიძე

ნოველები

ერთგულება

მყინვარწვერს აგერ უკვე მერამდენედ ლაშქრავდნენ მთასვლელები. ქართველი ალპინისტებისაგან შემდგარი ექსპედიცია, ნელი ნაბიჯით მწვერვალისაკენ მიიწევდა. შვეულმფრენიდან, რომელიც მათ თავს დასტრიალებდა, კინოოპერატორი ცდილობდა ლაშქრობის მონაწილენი მკვეთრად აღებეჭდა ფირზე.

უცებ კამერამ სენბერნარის ჯიშის ძაღლი დააფიქსირა, რომელიც ერთ-ერთ მთასვლელს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

— ეს ძაღლი ვისია? — გადაულაპარაკა მფრინავს ოპერატორმა.

— ჩვენი მიტოსია, დანგაძის. ერთი წამითაც არ სცილდება გვერდიდან. ასე მგონია მაგ ძაღლის გამო შეიშალა.

ამ დროს, ოპერატორმა შესძახა: — ბიჭო, რაღაც საშინელება მოხდა...

— რა მოხდა, არ იტყვი? — იკითხა აღელვებულმა მფრინავმა.

— მე მგონი, თქვენი მიტო ძაღლთან ერთად ნაპრალში გაუჩინარდა. ამის თქმა და შვეულმფრენის ქვევით დაშვება ერთი იყო.

— რას შვრები, დავიმტვრევით! — შეშფოთდა მეორე მფრინავი.

— ხომ იცი, როგორი ძმაა, მინდა გავიგო რა ხდება, უშველიან რამეს?

როცა მიწას მიუახლოვდნენ, რაციით ჯგუფის ხელმძღვანელს დაუკავშირდნენ.

— რა ხდება, ნოდარ! ცოცხალია თუ დაიღუპა?

— მე მგონი გადარჩა! მთავარია, როგორმე ამოვიყვანოთ.

— ძაღლი?!

— როგორც კი მიტო ჩავარდა, არც დაფიქრებულა, პირდაპირ უფსკრულში გადაეშვა. ძაღლი უფრო ღრმად გდია. მიტო ზევით, ნაპრალის პირველ გამოწეულ კიდეზე დავარდა. ორივე ცოცხალია. — კარგი! თუ რამე დაგჭირდეთ, რაციით დაგვიკავშირდით. ჩვენ ვეცდებით, თქვენთან რაც შეიძლება ახლოს დავჯდეთ. შვეულმფრენმა მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოახერხა დაჯდომა, მფრინავი და ოპერატორი ჩამოვიდნენ. მათ მთასვლელებს თავიანთი „რადიუსი“ შეატყობინეს.

ათი კაცი უფსკრულის თავთან შეკრებილიყვნენ. ეტყობოდათ, რომ ამხანაგისთვის თავის გასაწირად მზად იყვნენ. გადაწყდა, წონით ყველაზე მსუბუქი რეზიკო, უფსკრულში ჩაშვებულიყო. შეუდგნენ მზადებას. რეზიკოს პირჯვარი გადაწერეს და ისიც თოკით, ოსტატურად მეგობრის საშველად დაეშვა.

მზისგან ნახევრად გამდნარი ყინული, რომელზეც, ღმერთის წყალობით, მიტო ცოცხალი შემორჩენილიყო, აშკარა საშიშროებას წარმოადგენდა. არავინ იცოდა, გაუძლებდა თუ არა, ორი ადამიანის სიმძიმეს.

უფრო ქვემოდან კი გამუდმებით ისმოდა ძაღლის ყმუილი და თითქოს ეს იყო არა საკუთარი განწირულობით გამოწვეული გმინვა, არამედ თავად უმწეოს, პატრონის უმწეობა აწუხებდა.

როგორც იქნა, რეზიკომ ნაპრალამდე ჩააღწია. ქამარზე მიმაგრებული რკინის კაუჭი ოსტატურად გამოსდო მიტოს და ზემოთ მყოფთ ანიშნა, მზად ვარო.

რამდენიმე წუთში მიტო და რეზიკო

ნაპრალის თავზე აღმოჩნდნენ. გულის მასაჟის შემდეგ, მიტო გონს მოეგო. თვალი გაახილა და ამოილუღლუღა: „ბომბორა სად არის“? ყველა გაირინდა. არავის უნდოდა ეთქვა სინამდვილე. სწორედ იმ წამს, თითქოს კითხვას პასუხი გასცაო, მოისმა ბომბორას განწირული ყმუილი.

— ბიჭებო, თუ გინდათ ვიცოცხლო, ბომბორა გადამირჩინეთ!

— თქვა და ისევ გონება დაკარგა. მეგობრებმა მიტო მოასულიერეს და შვეულმფრენისაკენ წაიყვანეს. მთელი გზა — ბომბო, ბომბო! — ლუღლუღებდა საცოდავი.

უფსკრულთან დარჩენილებმა რეზიკო მეორედ ჩაუშვეს ურჩხულივით პირდაღებულ ქვესკნელში. ბიჭები სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ თოკის მოძრაობას და აი, თოკი შეირხა, დაიწყო სიკვდილ-სიცოცხლისთვის ბრძოლა...

ჯერ რეზიკო ჩაკოცნეს, მერე კი ოთხივე ფეხმოტეხილ ბომბორას ჩაეხუტნენ, სახელდახელო არტახები დაადეს და შვეულმფრენისკენ წაიყვანეს.

ერთი თვის შემდეგ, მიტო და ძაღლი სრულიად ჯანმრთელები გამოეწერნენ ყაზბეგის საავადმყოფოდან. ძაღლი, მთავარი ექიმის ნებართვით, ამ ხნის განმავლობაში მიტოს ფეხებთან იწვა.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. მთასვლელებში, თუკი სადმე ჭიქა გაჭახუნდებოდა, ყველა მიტოსა და ბომბორას სიყვარულის ამბავს ჰყვებოდა და მიტოსთან ერთად, როგორც თანასწორისას, ისე სვამდნენ ბომბორას სადღეგრძელოს. შეიძლება უცხოს გაკვირვებოდა მათი საქციელი, სად ადამიანი და სად ძაღლიო, მაგრამ მთასვლელებმა კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ.

ჟამთა სვლამ ბომბორა დააბერა. პატრონის ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, ძაღლი დაუძლურდა და ერთთავად სულ საწოლთან იწვა. ერთ საღამოსაც — ბომბო, ბომბო! — განწირული ხმით წამოიძახა მიტომ და მეგობარი გულში ჩაიკრა. ძაღლს კი აღარაფერი ესმოდა...

მიტოს ყვირილი სახლის კედლებში იკარგებოდა. სახლში, საიდანაც, დედის გარდაცვალების შემდეგ, ბომბორას გარდა სულიერი არავინ იყო.

მიტომ ძაღლი საწოლზე დაასვენა, გვერდით მიუწვა, ძლიერად მიეკრო მის ჯერ კიდევ თბილ სხეულს და თვალებში დაუწყო კოცნა.

არავინ იცის, რამდენი ხანი დაჰყო ამ მდგომარეობაში...

დილით კი ერთგული მეგობარი, მიტოს ძმაკაცებმა საწოლში გაყინული ნახეს.

განაჩენი

ღამის წყვდიადში გახვეულა ქალაქი. ერთ ანთებულ ნათურასაც ვერ დაინახავს კაცი. ესეც შენი ოცდამეერთე საუკუნის თბილისი. თერმომეტრი მინუს ცხრა გრადუსს აჩვენებს. არც შუქი, არც წყალი, არც გათბობა... სიცივისგან გათოშილი ვზივარ და ლამპის შუქზე ვწერ...

უცებ ძაღლების ყეფა და საზარელი ყმუილი მომესმა. ქარმაც მაგრად დაუბერა და ხეების ტოტები ერთმანეთს შეახეთქა, სახურავის თუნუქმა ჭრიალი ატეხა, თითქოს მარწუხებში მოამწყვდიესო.

ისე გაგრძელდა ყმუილი და ყეფა, რომ შევშინდი — ავის მომასწავებლად მენიშნა. ცხოველები ყველაზე ადრე გრძნობენ მიწისძვრის მოახლოების საშიშროებას და საშინლად წრიალებენ.

თუ რამე გამაჩნდა ტანზე მოვიცვი და ფარნით ხელში ეზოში ჩავედი. დამინახეს თუ არა მშიერმა ძაღლებმა, ჩემსკენ გამოცვივდნენ. მე ხელში ორი ძვალი მეჭირა, რომელსაც აქა-იქ ხორცის ნაფლეთები ჰქონდა შემორჩენილი. ძვლები ძაღლებს გადავუგდე, მაგრამ ნურას უკაცრავად, არც კი შეხედეს, ჩემსკენ წამოვიდნენ, ლოკვა დამიწყეს, მე დავიხარე და ორივეს თავზე ხელი გადავუსვი.

მივხვდი, რომ ამ წუთს ძაღლებს, ადამიანებისა არ იყოს, ალერსი უფრო მეტად სჭირდებოდათ, ვიდრე საჭმელი.

— ცუგოებო, ცუგოებო, — გავიძახოდი... ქარი კი, თავგამეტებით უბერავდა, თითქოს მეუბნებოდა, რას გამოსულხარ ამ წყვდიადში, ადი სახლში, ჩემ საქმეში კი ნუ ერევიო.

არ ვიცი რატომ, იქნებ პროტესტის ნიშნად, ყეფა დავიწყე:

— ავ! ავ! — გავიძახოდი და თან ძაღლებს ვეფერებოდი.

— ავ, ავ, ავ!.. — მპასუხობდნენ ისინი და მთელი ძალით მეკვროდნენ.

— ნუთუ მიწისძვრა იქნება? — ნეტა რა ხდება, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

უცებ ჩემი სიტყვები ვიღაცის ხმამ დაახშო .

— მეტი რა უნდა ხდებოდეს... წყალი თქვენ არა გაქვთ და საჭმელი, შუქი და გათბობა. თუმცა უფრო დიდი უბედურებაც გჭირთ. ერთმანეთი შეგძულებიათ... მიწისძვრაო, იძახით, ამაზე მეტად ნეტავ, რაღამ უნდა შეგძრათ, თქვე ცოდვისშვილებო?!.

„ოქროს საწმისი" და თანამედროვე არგონავტებისთვის გამართული კონცერტი ფოთში



თანამედროვე არგონავტებმა სტარტი 1984 წლის 3 მაისს საბერძნეთის ქალაქ ვოლოსში — ანტიკურ იოლკოსში აიღეს. სწორედ აქედან დაიწყეს თავის მოგზაურობა იასონმა და მისმა მეგობრებმა.

ჟურნალი „სამეგრელო" იწყებს სერიულ გაშუქებას ერთი მეტად საინტერესო ისტორიული ფაქტისა, რასაც „ტიმ სევერინის" საქართველოში მოგზაურობა ჰქვია, ეს იქნება ოქროს საწმისის მაძიებელი არგონავტების ისტორიული ფაქტის გამყარება და ყველაზე მეტი, მისი ისტორიული ფესვების ძიება. ვისაუბრებთ 3300 წლის წინ შეეძლოთ თუ არა ოიკუმენის კოლხეთის სანაპიროსთან მიეღწიათ. ამ და სხვა საინტერესო დეტალებს არგონავტებისა და „არგოს" მოგზაურობის შესახებ მომდევნო ნომრებიდან შეიტყობთ.

ჩვენ წინ მიმავალი კატერები წინასწარ ზვერავენ გასავლელ გზას. მდინარეში ჩვენს ესკორტს იახტები გამოკლდა, სამაგიეროდ, კატერების რაოდენობა გაიზარდა. ამ კატერების ქარავანს და წინასწარ სამუშაოებს ცნობილი იახტსმენი, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის დირექტორი ილო ფერაძე მეთაურობს. „კოლხიდის" ეკიპაჟის წევრი, რიონში შემოსვლისთანავე იახტიდან კატერზე გადაჯდა და მას შემდეგ აღარ მოგვცილებია. მან მთელი გზის მანძილზე ურთულესი სამუშაო შეასრულა და ვეებერთელა ფიზიკური თუ ნერვული ენერგია შეალია ამ ექსპედიციას. მისი მადლიერი იყო მთელი ეკიპაჟი და ტიმ სევერინმა ეს რამდენჯერმე განსაკუთრებული და ხაზგასმული სითბოთი გამოხატა. ილო ფერაძე ჩვენი მთავარი ლოცმანი იყო რიონზე. ნახევრად ხუმრობით იმასაც ვიტყვი, რომ ალბათ მედეამ არ გაუწია იმდენი სამსახური ანტიკურ არგონავტებს, რამდენიც თანამედროვე არგონავტებს ილო ფერაძემ! ჩვენი ინგლისელი მეგობრები ილო ფერაძეს „მისტერ პაილოტს" ეძახდნენ. „პაილოტი" ინგლისურად „ლოცმანს" ნიშნავს. მისტერ პაილოტს ორი ქუთაისელი კაცი, თავისი საქმის ორი დიდებული სპეციალისტი ედგა მხარში: კოლხეთის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის უფროსი ინჟინერი ტექნიკის დარგში რუსლან სილაგაძე და ამავე ობსერვატორიის ტექნიკის განყოფილების უფროსი ავთანდილ ქვაჩიკაძე. ისინი ინჟინერ-ჰიდროლოგები არიან სევერინის ექსპედიციასთან დაკავშირებით, უკვე გაზაფხულიდან მოყოლებული საგანგებოდ სწავლობდნენ რიონის კალაპოტს. ერთმა ფოთიდან აბაშის ხიდამდე შეისწავლა მდინარის ყოველი მეტრი, მეორემ — აბაშის ხიდიდან ვანამდე. ისინი რომ არა, „არგო" ალბათ ვერც ავიდოდა ვანში და თუკი ავიდოდა, უკეთეს შემთხვევაში — მთელი კვირის დაგვიანებით.

თუ ზღვაში „არგოს" ნიჩბების მოსმა ჩვენთვის ერთგვარი სიამოვნებაც კი იყო, რიონში უკვე

გაგვიჭირდა. ეს ბუნებრივიცაა: დინების საწინააღმდეგოდ ნიჩბის მოსმა გაცილებით ძნელია და ადამიანისაგან გაცილებით მეტი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს. ბუნებრივია, დაიკლო სიჩქარემაც. ჩვენ ძალიან ნელა, მაგრამ ბეჯითად მივიწევთ წინ. თან, ვიმეორებ, განუწყვეტლივ ვზომავთ წყლის სიღრმეს. ამას გემის წინაერდოზე მდგარი ბოცმანი აკეთებს და შედეგებს დროგამოშვებით მოახსენებს კაპიტნის ბოგურაზე მდგარ ტიმ სევერინს.

მერე პირველი სერიოზული დაბრკოლებაც გამოჩნდა — ეს იყო საკმაოდ დაბალი კამარის ხიდი. ხიდი ხალხით იყო გაჭედილი. ჩვენ ვჩერდებით. აუციებელია აფრის მოხსნა. თუ აქამდე ქარს მივყავდით და ნიჩბები მხოლოდ დამხმარე საშუალება იყო, ამიერიდან მარტოოდენ ნიჩბების იმედზეღა ვრჩებით.

მალე ჩამოვხსენით „არგოს“ სწორკუთხა იალქანი, რომელსაც წითელი საღებავით სამი ანტიკური მეომრის სილუეტი ახატია და მერე ხის ბუდიდან 12-მეტრიანი ანძაც ამოვიღეთ. ანძა თავის იალქნიანად ფრთხილად დავამაგრეთ ხომალდის გასწვრივ სპეციალურ საბჯენებზე. აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ინგლისელებისა და ჩვენი მენიჩბეების შეთანხმებული, ზუსტი და თანმიმდევრული მოქმედების შესახებ. უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. საერთოდ, ჩვენ საკმაოდ მალე ავუღეთ ალღო სევერინის, როგორც კაპიტნის ინგლისურ ბრძანებებს, უკეთ — თხოვნებს, რადგან სევერინის ყველა ბრძანება უფრო თხოვნას ჰგავდა. ვთქვათ: „ნიკ, ხომ არ ინებებთ ღუზის მომზადებას?“ ან: „შეგიძლიათ შეცვალოთ პირველი ორი მენიჩბე?“ ტიმ სევერინი კაპიტნის ბოგურაზე საოცრად მშვიდია, აუღელვებელი, ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც არ ჰკარგავს სიმშვიდეს და იუმორის გრძნობას, მხოლოდ ერთხელ ვნახე, რომ ხმას აუწია. ამაზე ოდნავ ქვემოთ.

ანძა მოვხსენით, მაღალი ძაბვის კაბელების ქვეშ გავიარეთ და ხიდის გასავლელად მოვემზადეთ. ხიდი იმდენად დაბალი იყო, რომ მის ქვეშ გავლის პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა: ვიოლინოს თავივით მოკაუჭებული „არგოს“ მორკალული ბოლო — ეგრეთ წოდებული აკროსტოლი—ხიდის ქვეშ ვერ გაეტია. საჭირო შეიქმნა ხალხით სავსე ხიდის დაცლა და ის რამდენიმე სანტიმეტრი, რომელიც ამის შემდეგ ხიდის კამარას მიემატა, საკმარისი აღმოჩნდა „არგოს“ გასავლელად. რა თქმა უნდა, აქ კაპიტნის ოსტატობამაც შეასრულა გარვეული როლი. მისი ბრძანებით, რომელსაც აკი უკვე ვთქვით, უფრო თხოვნის ფორმა ჰქონდა, ჩვენ ყველანი გემის კიჩოზე გადმოვედით, კიჩო მეტად ჩაიძირა წყალში და ამასთანავე აკროსტოლსა და ხიდს შორის ორი გოლიათი — კორმაკ ო’ კონორი და ჯონათან კლოკი ჩადგა. როცა პირველი, წარუმატებელი ცდის შემდეგ უკან გავბრუნდით, სწორედ მაშინ აუწია სევერინმა ხმას. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთმა მოსკოველმა სტუმარ-მასპინძელმა, რომელიც იმჟამად „არგოზე“ იმყოფებოდა, თავის ვარიანტი შეეთავაზებინა. ეტყობოდა, მან ამისთვის შესაფერისი ტონი ვერ მოძებნა...

ასეა თუ ისე, პირველი დაბრკოლება წარმატებით დავძლიეთ და რიონის ნაპირებზე შეკრებილი ხალხის ტაშის გრაილში გავაგრძელეთ გზა. მალე კიდევ ერთი ხიდი გავიარეთ, მაგრამ ასე აღარ გაგვჭირვებია. სამაგიეროდ, გარკვეული სირთულეები შეგვექმნა კაშხალის გავლისას. გახსნილი დამბებიდან გამოსული წყლის ნაკადი საკმაოდ ჩქარი იყო და თუ ეს წინაღობა პირველივე ცდაზე წარმატებით დავძლიეთ, იმიტომ, რომ საბჭოთა მენიჩბეები კარგად ვიცნობდით ამ ადგილს და რამდენიმე დღით ადრე გავლილიც გვქონდა ეს კაშხალი. ჩვენები წამყვან ნიჩბებზე დასხდნენ. მე სიამაყით ვუყურებდი, რა საოცარი ტემპი შესთავაზეს ჩემმა მეგობრებმა ინგლისელ კოლეგებს, მათაც მალე აუბეს მხარი საბჭოთა ნიჩბოსნებს და როგორც კი კაშხალი უკან დარჩა და ჩვენს წინ შედარებით მდორე რიონი გადაიშალა, სევერინმა და სხვა ინგლისელებმა საქართველოს მენიჩბეებს ტაში დაუკრეს. რვა საბჭოთა სპორტსმენთან ერთად ეს ტაში და სევერინის აღფრთოვანებული „ბრავო“ ექვს ინგლისელ ნიჩბოსანსაც ეკუთვნოდა. თოთხმეტივემ ამ პატარა მონაკვეთზე უდიდეს ენერგიასთან ერთად დიდი მონდომება, მთელი სული და გული ჩააქსოვა.

კაშხალი გავიარეთ თუ არა, არგო ღუზაზე დავაყენეთ და ფოთში წავედით, სადაც თანამედროვე არგონავტთა პატივსაცემად საინტერესო ფოლკლორული კონცერტი გაიმართა. შემდეგ სევერინს მთელ თავის ეკიპაჟთან ერთად რესტორანში სავახშმოდ წასვლა შესთავაზეს. ეს მან შორს დაიჭირა, ჩემს ეკიპაჟში ბევრი სტუდენტია და რესტორანს ვერ შევწვდებიო. უნდა გენახათ მისი და უფრო კი მისი ბიჭების, გაბრწყინებული თვალები, როცა აუხსნეს, რომ საქართველოში სტუმრად, სასიკეთო მისიით ჩამოსულ ხალხს რესტორანში ფულს არ გადაახდევინებდნენ!

იჯდა ბრყინვალე სუფრასთან „არგოს“ კოკი პიტ მორანი და კერძების რეცეპტებს იწერდა. მას და მის მეგობრებს განსაკუთრებით სულგუნი მოეწონათ. რა ჰქვიაო, მკითხეს. ვუთხარი. მერე ასო-ასო დავუმარცვლე: ესიუელჯიიუენაი. ბოლოს, როცა ქართული ღვინოს ჭაშნიკი გაუსინჯეს და როცა სუფრაზე მოტანილი კერძების ბოლო არა და არ გამოჩნდა, პიტ მორანმაც და სხვებმაც თავი დაანებეს ბლოკნოტებში ნუგბარ-ნუგბარი საჭმელების სახელებისა და რეცეპტების ჩაწერას და „საქმეზე“ გადავიდნენ.

„გესვენებით, გაუთრთხილდით სიმარტოვეში ეულად დარჩენილ მეშოეს“

გოდერძი ჩოხელი

ის, რაც ყურად უნდა ვიღოთ...

ბებო

ისედაც მიტოვებულ სოფელში მიატოვეს ბებო. ზაფხულში ვერ მოიცალეს შვილებმა, ზოგი სამსახურს იმიზეზებდა, ისეთ ადგილებზე მუშაობდნენ, გაცდენა არაფრით არ შეიძლებოდა. შვებულება თითქმის ოთხივემ ერთად აიღო, ოჯახებით აიყარნენ და ზღვაზე წავიდნენ. იქიდან დაბრუნებულებს კი, ისევ უამრავი გადაუდებელი საქმე ელოდებოდათ თბილისში.

მთელი ზაფხული მოლოდინში გაატარა ბებომ. ერთთავად თვალებზე სანთელივით გაყვითლებულ ხეს იჩრდილებდა და გზას გაჰყურებდა. გზას გასათიბი ბალახი და შამბი მოსდებოდა.

დილით ანდა ნისლიანში რომ მოგენდომებინა გავლა ამ გზით, ისე იყო ბალახი ცვარით დამძიმებული, წელს ქვემოთ უცებ დასველდებოდი.

ბებოს იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდნენ მისი შვილები, რძლები და შვილიშვილები, ამიტომ წინასწარ თადარიგს იჭერდა ნისლიან ამინდში. რამოდენიმეჯერ აივლ-ჩაივლიდა გზაზე. თან ჯოხით ცვარიან ბალახს ბერტყავდა, რომ „ქალაქელები“ არ ჩაელპო (ასე ეძახდა თავის შვილებს).

სახინკლე ხორციც რამდენჯერ გაამზადა წინასწარ. სიზმარს ნახავდა ხოლმე, რომ ყველანი სახლში იყვნენ. დილაუთენია კი, როგორც კი მამალი საგათენებლო ზარს მორთავდა, იმ წუთში ლოგინიდან წამოდგებოდა ბებო, შვილიშვილებისათვის საგულდაგულოდ ჭინ-ჭრის ფოთლებში გახვეულ სახინკლე ხორცს კარგად გარეცხავდა და, მამამთილისეული ხანჯლით წვრილად დაკეპავდა და სოფელში გავიდოდა, ერთი-ორი მასავით ბებერი კიდევ იყო ამ სოფელში. იმათთან ყვებოდა ბებო თავის წუხანდელ სიზმარს.

– დღეს აუცილებლად ვინმე მოგივა, - ეუბნებოდნენ ისინი.

ბებოც ელოდა.

– შემოგევლოთ თქვენი ბებო, თქვე მამაძაღლებო, თქვენა, ეგრე უნდა ბებოს დავიწყება, რო ერთმა აღარ მომხედეთ.

ქალაქელებს რა ყურს უგდებთ, დასხედით მანქანაზე და წამოდით. არ გიშვებენ განა? მოიცადეთ, ერთი აქ ამოვიდნენ, როგორ მივტყიპო ეგენი, რომ თქვენი თავი დამანატრეს.

შვილიშვილების სურათებს ეალერსებოდა ბებო.

ამაოდ გაჰყურებდა სოფლის გზას.

ამაოდ იჩრდილავდა თვალებზე ჩამომჭკნარ ხელს.

ბინდდებოდა.

გულმოკლული ბებო ხინკალს ახვევდა. თვითონ ისე შეკვროდა მოლოდინით გული, ლუკმასაც ვერ შეჭამდა, მაგრამ ამდენ ხანს ნალოლიავებელ ხინკლის გულს ისე ხომ არ გააფუჭებდა. ზაფხულობით იმათ მთებში ცხვრის ფარები იდგა და სახინკლე ხორცს ხან რომელი

მწყემსი უწყალობებდა ბებოს, ხან რომელი.

დუღდა ხინკლიანი ქვაბი.

ნაღველი დუღდა ბებოს გულში.

მერე ხონჩაზე ამოყრილ ხინკლებს ორთქლი ასდიოდა.

მთელი სოფელი იმ ერთ პატარა ხონჩას შემოსხდომოდა და მაინც, კიდევ იყო სტუმრისთვის ადგილი დარჩენილი. ბებოს ერთ ხელში სანთელი ეჭირა, მეორეში – წყლით სავსე ჭიქა. რომელსაც სუფრის თავზე წაღმა ატრიალებდა და ილოცებოდა: – ღმერთმა მოიხსენოს, ვისი სულიც ამ სუფრას შემოსტრიალებდეს, ამ სახის დაკლებულებისაც და ყოველი ქრისტიანისა, ვისაც ხინკალი უყვარდა, დღეს კი ცოცხლები აღარ არიან. იმათ სულის სალხინო იყოს ეს სუფრა. იმათი სული ნათელში ამყოფოს მაღალმა ღმერთმა!

– ამინ!

– ამინ! – დასტურს იძლეოდნენ მეზობლები.

ბებო ჩქარ-ჩქარა გადიოდა გარეთ და ღამეს აყურადებდა.

მოსვლით კი მაინც არავინ მოდიოდა.

ნელ-ნელა იწურებოდა ზაფხული. ძლივს თიბავდა ბებო ბალახს. მხარი სტკიოდა.

მუხლებშიც ძალა

აღარ ედგა. მალ-მალე ჩაიხვეოდა ხოლმე სათიბში

და ძალას იკრებდა.

შემოდგომა რომ დადგა, ტყეში გავიდა. შვილიშვილებისათვის თხილს და ძახველს კრეფდა.

იმ წელს თბილი შემოდგომა იყო.

ოქტომბრის ბოლოს აურია ცოტა.

ბებო შეაშფოთა ამინდის გაჭირვეულებამ, საზამთრო შეშაზე დაიწყო ფიქრი. ახლა უკვე შვილების მოუსვლელობაზე კი არ დარდობს იმდენად, ალბათ ვინმეს რამე უჭირსო, ის უხეთქავდა გულს.

– სად წავიდე, როგორ წავიდე, რო ესეთი საპყარი ვარ და ქალაქის გზაც არ ვიცი, – მეზობლებს შესჩიოდა ბებო.

დამოკლდა დღე და გაგრძელდა უძილო ღამეები. ზამთრის სუნი დატრიალდა ჰაერში. მუხლები აუკანკალდა ბებოს.

უშეშოდ დარჩენილს ზამთრის მოახლოების შეეშინდა.

ჯერ კი მაინც იმედი ჰქონდა. გზას გაჰყურებდა.

ის დღეც მოლოდინში დაღამდა. ღამე უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა.

დილით კი

იმ ღამით ისეთი თოვლი მოსულიყო, სოფელში მისასვლელი გზაც კი აღარ ჩანდა. წყარომდე ძლივს გარეკეს იმ დღეს საქონელი.

უშეშოდ დარჩა ბებო.

დარჩა ზეცისა და მიწის ანაბარა.

მიწაც თოვლით იყო დაფარული. თოვდა.

გამოდარებას არ აპირებდა.

თითქმის ორ კვირამდე ითოვა ასე.

მეზობლების მიმოსვლა შეწყდა.

საქონელს თოვლს უდნობდნენ და იმას ასმევდნენ. წყაროსაკენ გზის გამკვალავი აღარავინ იყო, თანაც ზვავისა ეშინოდათ. იმხელა თოვლი იყო, კაცმა არ იცოდა, საიდან მოვიდოდა ზვავი.

ბებო აქა-იქ ეძებდა შეშის ნარჩენებს და იმით ანთებდა ცეცხლს, ცეცხლს, რომ როგორმე გაედნო თოვლი.

ღამ-ღამობით საშინელ სიზმრებს ხედავდა: გარდაცვლილი მეუღლე ეპატიჟებოდა თავისთან. ბებო უარობდა, შვილიშვილების უნახავად როგორ წამოვიდე, კაცო, რა გულმა უნდა გამიძლოს სამარეში, იმათი რომ ვერა ვიცი და ისე წამოვიდეო.

ციოდა. შიგნიდანაც შეჭირხლული იყო სახლის კედლები.

რომ გამოიდარა, მზე გამოჩნდა.

ცოტა დათბა.

აგუგუნდნენ ზვავები.

ბებო მყუდროში იჯდა და თავის დამჭკნარ ხელებს დაჰყურებდა.

ფიქრობდა: ღმერთმა იცის, რაზე ფიქრობდა.

იქნებ შვილებზე, იქნებ ქმარზე. იქნებ რომელიმე დღე ახსენდებოდა თავის ბალღობიდან. იქნება სულაც სხვა რამეზე ფიქრობდა ბებო, მაგრამ რაზეც არ უნდა ფიქრობდნენ სიბერეში ბებოები, შვილიშვილების სახე მაინც ერთთავად თვალწინ უდგათ.

ჰოდა ფიქრობდა ბებო.

დღე კი ილეოდა.

ბებომ საღამოს საქონელს თივა დაუყარა და რაკი ცეცხლი ვერაფრით დაანთო, ლოგინში ჩაწვა.

ჩაეძინა.

შუაღამისას რაღაც საშინელმა ხმაურმა გამოაღვიძა.

ტორტმანებდა მიწა და სახლის მინებს ზრიალი გაჰქონდა.

ლოგინში წამომჯდარი ბებო პირჯვარს იწერდა.

ბნელი ღამე იყო და ფანჯარაში არაფერი ჩანდა.

მიწისძვრას დააბრალა ბებომ ეს ამბავი.

ცოტა ხანში გარემო ჩაჩუმდა.

დაწყნარდა სახლი.

ისევ ჩასთვლიმა ბებოს.

დილით მამალმა გააღვიძა.

ბებომ თვალები გაახილა და ყური მიუგდო. იქვე, სახლის ეზოში ყიოდა მამალი.

– მელამა კი არ გამიწყვიტოს ქათმები – ლოგინიდან წამოდგა ბებო და გარეთ გაიხედა. გაოცებისგან კარგა ხანს ერთ ადგილას იდგა: მის ეზოში უზარმაზარი წიფლის ხე მოეტანა ზვავს და მის კენწეროზე მამალი ყიოდა. დანარჩენი ქათმები წიფლის ტოტებზე ისხდნენ აქა-იქ. ეტყობა, ზვავის ქარს საქათმე მოეგლიჯა და უსახლკაროდ დარჩენილ მამალს ამ წიფლის ხეზე შეეხიზნა თავისი ოჯახი მელიის შიშით.

ბებო გაოცებას ვერ ფარავდა: ამდენი ხანი ამ სოფელში, ცხოვრობდა და არასოდეს ენახა აქ ზვავი.

მამალი კი ისე ხმამაღლა და ლაღად გაჰკიოდა, თითქოს თავისი დღე და მოსწრება იმ წიფლის კენწეროზე ჰქონდა გატარებული.

ბებომ საკენკი დაუყარა ქათმებს და ისინიც რიგ-რიგობით ჩამოფრინდნენ ძირს.

მარტო მამალი არ ჩამოვიდა.

მზის ამოსვლამდე იჯდა წიფლის კენწეროზე და ყიოდა.

რაღაცა უხაროდა ბებოს.

რა, თვითონაც არ იცოდა და ის-ის იყო ძროხების გამოშვება დააპირა მზეზე, რომ უცებ სახეგაბრწყინებული მიაჩერდა ეზოს კარებს.

ეზოში ხმაურით შემოვიდა მისი ოთხივე ბიჭი.

ასეთი დიდი სიხარულის განცდა ბებოს არასოდეს არ ჰქონია.

მამალი კი ხის კენწეროზე იჯდა და ისე გადმოჰყურებდა ეზო-გარემოს, როგორც ერთადერთი მბრძანებელი თავის სამეფოსი.

ხოლო მაშინღა იკადრა ძირს ჩამოსვლა, როცა ბიჭებმა ქურქები გაიხადეს და მოსაჭრელად მიადგნენ წიფელს.

რაღაცით ჯობდა ის დღე მოლოდინით ფერმკრთალ დღეებს.- მე რა მინდოდა?

– გეხვეწებით, გაუფრთხილდით სიმარტოვეში ეულად დარჩენილ ბებოებს.

საბედისწერო მზე შემოდგომისა

გარდაიცვალა ჟურნალისტი და პუბლიცისტი ნანა გეგია. საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის, საინფორმაციო სააგენტო „ჯეონიუსის“, ტელე-რადიო კომპანია „ახალი საქართველოს“, რადიო „საქართველოს ხმის“ და ვებსტუდია „არტმედიის“ შემოქმედებითი კოლექტივი სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნანა გეგია დაიბადა ქ. თბილისში, დაამთავრა მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ამასთან, საინფორმაციო სააგენტო „ევრაზია“-ში, ჯერ ჟურნალისტად, შემდეგ კი - დირექტორად. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. ბოლო პერიოდში ტელე-რადიო კომპანია „ახალი საქართველოს“ პროგრამებს ხელმძღვანელობდა.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მისი წიგნი „მჯდომარე ანასტასია“ ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტის სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით დაიბეჭდა.

„გაჰვეულა ირგვლივ ნისლის კვამლში,
ტანმაღალი ჭადრის ხმელი ტოტი,
გაფრენილა სიჭაბუკის დღენი,
გულს ამხნევებს სევდის მძიმე ლოდი“.

მძიმეა ნანა, მძიმეა ეს სევდის ლოდი, ჭირს მისი გადაგორება, შიშისა და ძრწოლვისაგან ათრთოლებული შევყურებ შენს სანთელივით გაყვითლებულ სახეს და ვფიქრობ, რა საბედისწერო აღმოჩნდა მზე შემოდგომისა, მზე, რომელმაც ვერასგზით შესძლო შენი გაყინული სულისა და გულის გათბობა, უხერხულობისგან დარცხვენილმა ოქროსფერი კალთები აიკრიფა და ღრუბლებს მოეფარა. მწუხრი ჩამოწვა. ფოთოლცვენაა. ერთ დროს შენსავით ხასხასა, სიცოცხლით სავსე ფოთლები პანაშვიდს გიხდიან, ისედაც გაცრეცილნი და სასომიხდილნი ახლა უკვე შენი

ცოდვის ცრემლით დამძიმებულნი მიწაზე მძიმედ დაეშვნენ და ფიანდაზად გაეფინენ შენს ნაწამებ ცხედარს.

ღვინობისთვეში შესმულმა შენმა შესანდობარმა ბედის სურა აღგივსო და მარადიული ძილისთვის განგამწესა.

ნანა, მართლაც რომ იავნანა, ჩვენო ლამაზო გოგო. უფალმა ქართველთა ქალღვთაების, ნანას სახელი შენთვის გამოიმეტა, ბროწეულის ყვავილივით ამშვენებდი ირგვლივმყოფთ, პერსიფონემ შეგიყვარა, მისებრ შუქისა და სიკეთის მაუწყებლად მოგავლინა ამ ქვეყნად, სადაც შენი მოგზაურობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ჰო, ზემოთ ბროწეულის ყვავილი ვახსენე, სწორედ, რომ გაზაფხულზე აფეთქებულ ბროწეულის ხეს ვხედავდი შენში, საიდანაც ნიჭისა და ენერგიის უშრეტი წყარო იღვრებოდა. ნაზი, მშფოთვარე, თბილი, ალერსიანი, მზრუნველი, გონიერი, საზრიანი, მაგრამ უკვე წარსულის მკვიდრი...

იყო და არა იყო რა?! არა, მე ასე არ ვფიქრობ. მართალია ოქროსფერი შემოდგომა შენთვის კუპრი აღმოჩნდა, მაგრამ როგორც ბარათაშვილი იტყოდა, „გზა უვალი, შენგან თელილი“, არასდროს წაიშლება. შენ მაღლა, ცაში ანგელოზები გელიან, სამოთხე შენი სულის სავანეა, შენი ამქვეყნიური ლოცვა-ვედრება და ღაღადისი შენსავე ლამაზ სულს უკვდავებას მისცემს და სიმშვიდით მიგიყვანს სასუფევლამდე.

დასანანი ის არის მხოლოდ, რომ ერთი სიცოცხლე შენთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. უამრავი სათქმელი დაგრჩა, სითბოთი სავსე გული სამუდამოდ გაიყინა:

„ცის შორეული ნათება, შენთვის გადაიქცა ღამედ,
დილის გაშლილი ყვავილი უკვე დაითვლის წამებს,
ეს შემოდგომა აღმოჩნდა შენთვის ცხოვრების არე,
სიკვდილის ზღაპარს გიამბობს უკანასკნელად ღამე“.

მშვიდობით, ჩვენო კარგო მეგობარო!

ნინო რეხვიაშვილი
ჟურნალ „რაჭველების“ და „სამეგრელოს“ რედაქტორი

მამა გაბრიელის დარიგებანი



- *ვინც აღდგომის შემდეგ, ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში თავის ცოდვებზე იტირებს, ის იუდაზე უარესია.*
- *საშინელი განსაცდელი მოელის ყველას, ვინც აბორტს იკეთებს, აკეთებს ან ამის ნებას იძლევა. სანამ დროა უნდა შეინანონ ცოდვები და განუწყვეტლივ ილოცონ ღვთის წინაშე, რომ ჩვილთ მკვლელობის ცოდვა მოიტევოთ.*
- *დიდ სიწმინდეს მუდამ ახლავს დიდი მადლი, რომელსაც გარშემო აკრავს დიდი წრე. ამ წრეს ბოროტება ვერ ეკარგება.*
- *ადამიანს ერთხელ უთხარი, ორჯერ, სამჯერ და თუ ვერ გაიგო, დაანებე თავი.*
- *საქართველო უნდა გაბრწყინდეს, მაგრამ დიდი ტანჯვა უნდა გამოიაროს, როცა იტყვიან აი, მორჩა, მაშინ განათლდება და გაბრწყინდება.*
- *ჩემი ჯვარი სრულიად საქართველო და ნახევარი რუსეთია ..*
- *აღსარება ღვთის იმხელა საიდუმლოებაა, რომ ადამიანის გონება ვერ ჩასწვდება მასში. ის ღვთის ყველაზე დიდი წყალობაა დედამიწაზე.*
- *როგორც კი შესცოდავ, მაშინვე შეინანე.*
- *თუ ოჯახის შექმნა გინდა, იქორწინე, მხოლოდ იცოდე ყველა წესის დაცვით.*
- *თუ შენ ლოცულობ და ამ დროს მოგადგა ვინმე გაჭირვებული და გთხოვა დახმარება, შენ რომ არ მიეხმარო და უთხრა: ვლოცულობ, დავამთავრებ და მერე მოგხედავო, აი, ასეთი ლოცვა ღმერთს არ სჭირდება, ასეთ ლოცვაზეა ნათქვამი, ლოცვა ცოდვად შეერაცხაო.*
- *ღვთის სახელის ხსენება უმიზეზოდ არ შეიძლება, ხშირად რომ ახსენებ მესამე მცნება ირღვევა.*
- *ღვთის განგების იმედი არასოდეს დაჰკარგო!!!*
- *ილოცეთ ყველასათვის, ამას გიტოვებთ ანდერძად. ილოცეთ, ლოცვა მთებს დაძრავს.*
- *„ზღვები დაშრება, მთები დაიშლება, ქრისტეს დიდება არ მოიშლება.”*
- *სიყვარულს ვერ დაიმკვიდრებ თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს, ღმერთს უყვარს საქმე, კეთილი საქმე არის სიყვარული.*
- *შინაგანი ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა რწმენამდე და მოიპოვოს სიყვარული.*

მაინც ვინ თუ აშორდია?!

გალაკტიონის პალინდრომია: „აი რა მზის სიზმარია აირევი ივერია აი დროშა აშორდია აერების სიბერეა“. იქნებ ვინმეს ეს სიტყვები პალინდრომისათვის საგანგებოდ მოძიებულად მოეჩვენოს — წაღმა-უკუღმა ერთნაირად იკითხება და ამიტომაც მოიხმო პოეტმაო, — გაიფიქროს, მაგრამ არა გვგონია, ასე იყოს. თუ თითოეულ სიტყვას ღრმად ჩავუკვირდებით, მასში გამჟღავნებულ აზრს მოვიძიებთ, იმდროინდელ ამბებს გავიხსენებთ, ნათელი გახდება, ეს სიტყვები სულაც არაა შემთხვევით მოხმობილი, მათში რაღაც აზრია გაცხადებული. აზრი კი ისაა, რომ ივერია მართლაც აირია, აითქვიფა, აიდღვიბა, აშორდიასა და მისი მეგობრების მეშვეობით თავადობა, აზნაურობა ადვილად მისაღწევი გახდა. ასეთად შეეძლო ქცეულიყო ყველას, ვისაც ფული ჰქონდა და სურვილი გააჩნდა, სენაკში, ზუგდიდში ან ქუთაისში ჩასვლაც არ დაჭირდებოდა, ადგილზე მიუტანდნენ. მოკლედ: გალაკტიონის ეს პალინდრომი გამოძახილია აშორდიასა და მისთა მსგავსთა საქმიანობისა, იმ თაღლითური, ავანტურისტული ზრახვებისა, მათ რომ წამოიწყეს და აღასრულეს კიდეც. ამიტომ ვამბობთ, გალაკტიონს ეს ლექსი სულაც არ შეუთხზავს შემთხვევით, სიტყვების წაღმა-უკუღმა წაკითხვის სურვილით, პირიქით, რაღაც ღრმა აზრი ჩადო მათში, ზემოთნახსენებ მოვლენათა გათვალისწინებით ადვილად გასაგები. და კიდევ: 1927 წელს შეთხზულ ოხსტრიქონედში პოეტმა აშორდია იმის გამო გაიხსენა, აირევი ივერიას იმიტომ დაუკავშირა, რომ ბოლშევიკთა ბატონობის შემდეგ ქვეყანა არნახულად აირია. თავადაზნაურობის, როგორც ქვეყნის პატრონი კლასის, ფიზიკური განადგურება დაიწყო, საუკეთესო ნაწილი გაჟლიტეს კიდეც. ივერია პირუკუ აირევი რომ იყო, მიხეილ ჯავახიშვილსაც აფიქრებდა. გალაკტიონის პალინდრომს არ ახსენებს, მაგრამ ამ ლექსის დაწერიდან რვა წლის შემდეგ უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „აირევი ივერია (პირუკუღმა წაიკითხეთ), რაღაც საშინელი მისტიური აზრია ამ სიტყვებში“ ივერია — წაღმა წაკითხვით სანეტარო, უკუღმა წაიკითხავ და — შემაშფოთებელი, მართლაც ხშირად არეული, ალეწილი ქვეყნის ბედისწერაა გამხელილი ამ სიტყვის „მისტიურ აზრსა“ და იდუმალ საფიქრალში. „ქართველ ხალხს მბრძანებელი აღარ ჰყავს. თავადაზნაურობა მოკვდა, მისი ნაცვალი კი ჯერ არ გაჩენილა“ — დაიჩივლებს მიხეილ ჯავახიშვილი იმავე 1935 წლის ჩანაწერში. მბრძანებელი და პატრონი ადრეც შემოლეოდა, ვიგინდარებს მოესურვათ გამხდარიყვნენ თავადნი ან აზნაურნი, სახელი დაერქმიათ მხოლოდ, საქვეყნო ვალზე არ ეფიქრათ, მერე კიდევ საერთოდ აღეგავათ სახსენებელი თავადაზნაურთა. რაღაცით ჰგავდა, რაღაცით არ ჰგავდა ეს ორი დროება ერთმანეთს. იქნებ სხვა სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ გენიალური პოეტის ამ ლექსის ამგვარი წაკითხვა რომ შეიძლება, აშკარაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული სიტყვის ჯადოქარს წაღმა-უკუღმა ერთნაირად წასაკითხი სიტყვების მოძიება არ გაუჭირდებოდა, ამ ლექსს კიდევ ერთი სტროფი აქვს დამატებული: „ალის დავა ავად სილა, აი რა დრო ორდარია, ოდნავ ისე ისე ვანდო, აი რა მზის სიზმარია“. აქ განსაკუთრებით ერთი სტრიქონია საინტერესო — აი რა დრო ორდარია (აი რა დრო უნდა იყოს და არა აი რად დრო, როგორც გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულის მეორე ტომშია მითითებული). მართლაც, აშორდიასდროინდელი და მერმინდელი ცის კამარაზე ორი დარი ჭიატობდა — ნამდვილი და მაცდური, ფრთები ეკვეცებოდა ძველს, ჭეშმარიტ თავადაზნაურთა დროებას, დგებოდა აშორდიას აზნაურთა, მერე კიდევ ეროვნებადაშრეტილ ბოლშევიკთა ჟამი.

— პოზიცია კი, როგორც ვთქვი, ის გახლდათ, რომ აშორდიასა და მის დამქაშთა წყალობით თავადის ან აზნაურის ტიტული ფაეტონსა და სახლზე ადვილად შესაძენი გახდა — წაღმართი ივერია უკუღმა დატრიალდა, აქედან ივერია იქიდან აირევი-დ იქცა, აი დროშა — აშორდიად, მერე ეს დროც სანატრელად იქცა და გალაკტიონმა თავისი სათქმელის გასამხელად გაიხსენა სოლომონ აშორდია, მაგრამ ვინ იყო იგი? რა გამორჩეული ნიჭი და უნარი ჰქონდა, როგორ წარიმართა მისი და მისდართა საბრალდებო საქმე, რატომ აზიდა ფარზე ცისფერყანწელთა ერთმა ნაწილმა აშორდია?! თაღლითი იყო თუ რაინდი?! ვინ იყო მაინც?!.

ელგუჯა თავბერიძე

ნინო კემულარია

ჩემი მუზა ხარ და...

მამუკა, გილოცავ დაბადების დღეს - პირველ ნოემბერს. გისურვებ ყველათერს საუკეთესოს, საამაყო ქართველი ხარ, ლირსეული თვისებებით გამორჩეული. ხელოვნების თაყვანის-მცემელი, ჰოეზიის უსაზღვროდ მოცრთიელ. იხარე და იბედნიერე, მრავალჟამიერ.... ძალიან მიყვარხარ....

ჰაციკვისცემით ნინო კემულარია

შენი მონატრების...

(მამუკა მიდელაშვილს)

ლექსებს დაეწვეთა შენი ღიმილები,
ჰარნასს შეხიზნული ლამაზ ჰოეზიად,
თუკი, ჩამოჰვევება მჩქეფავ ჩანჩქერებთან,
ნუღარ გადამიქცევ ხვალეს ამნეზიად...
ახლა სიყვარულის ფუნჯით ვხატავ ფიქრებს,
მწთურ შემოდგომას ცვივა რტოებიდან,
ფეხქვეშ ხალიჩებად გზებზე დაგეგება,
ვინმლო, გამოვიქცე განმარტოებიდან...
მე ხომ ჰოეტი ვარ შენი მონატრების,
სევდით გარითმული ვაჟას ჰოემიდან,
ნისლში დაცურავენ დღე და ღამის ტრფობა,
ჩუმი მოღიღინე, მთვრალი ბოჰემიდან...
ლექსებს გაემიჯნა გრილი შემოდგომა,
ეველა სისუსხე და ბნელი ამნეზია,
მე ხომ ჰოეტი ვარ ღმერთთან მოსაუბრე,
ჩემი მუზა ხარ და ჩემი ჰოეზია...

ნინო კემულარია
25 ენკენისთვე, 2015 წელი

მამუკა მიდელაშვილი

ბოცვრების მოვლა-პატრონობისა და ვარგისიანობის შესახებ

მიხეილ პეტრიაშვილი ბოლნისის რაიონის სოფელ ხატისოფელში ცხოვრობს. 29 წლის ახალგაზრდა კაცს ორი წელია, საკუთარ ეზოში ბოცვრების ფერმა აქვს მოწყობილი.

- სახლში, სადაც ახლა ვცხოვრობ, ბებია-ბაბუა ცხოვრობდა. ბაბუა რომ გარდაიცვალა, მერე მე ჩავედი. გარდა იმისა, რომ მებოცვრე გავხდი, მაქვს ვენახი, რქაწითელის ჯიშის ყურძენს ვუვლი. საკუთარ მეურნეობაში ბოცვრებისთვის მე და მამამ შვრია, იონჯა დავთესეთ...

- მებოცვრეობით როდის დაინტერესდით?

- 3 წლის წინ ტელევიზიით მებოცვრეობაზე გადაცემა ვნახე და გამიჩნდა იდეა, პატარა ფერმა გამეკეთებინა. სამი დედალი და ერთი მამალი ბოცვერი ვიყიდე, მერე და მერე ახალი ჯიშები დავამატე. ახლა 20 დედალი, ანუ მუშა ბოცვერი და 3 მამალი მყავს. თვეში 80-მდე ბაჭია ჩნდება. 20 დედალთან 3 მამალი საკმარისია. ერთი ზედმეტიც კი არის, მაგრამ ჯიშების გამოყვანისას გვჭირდება.

- ყოველთვე მრავლდებიან?

- მაკეობა 30 დღე გრძელდება. შეიძლება ისეთი შეჯვარების მეთოდიც გამოვიყენო, რომ ბაჭიები ყოველთვე დაყარონ, მაგრამ ეს ბოცვრების ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს, ამიტომ წელიწადში მხოლოდ 4-5-ჯერ ვაჯვარებთ.

ბოცვრის ხორცზე დიდი მოთხოვნილებაა. ის დიაბეტური პროდუქტია, ქოლესტერინის შემცველობა უმნიშვნელოა. ადამიანის ორგანიზმი ბოცვრის ხორცს 90%-ით ითვისებს, საქონლის ხორცს კი - 60-70%-ით. კურდღლის ხორცი კარგია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისთვის, ჩვილ ბავშვთათვის. არის მედიკოსების მოსაზრება-რეკომენდაციაც, რომ ბავშვმა პირველად კურდღლის ხორცი უნდა გასინჯოს.

- საქმის წამოსაწყებად თეორიული ცოდნა ხომ იყო საჭირო?

- თეორიული ცოდნა სპეციალური ლიტერატურითა და ინტერნეტით მივიღე. მერე მებოცვრეებიც გავიცანი, დავმეგობრდით და უკვე ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარებით, პრაქტიკით ბევრ რამეს მივხვდი და ვისწავლე...

- ბევრნი ხართ?

- ძალიან ცოტანი. ისეთი ფერმები, სადაც 100 და მეტი დედალი ბოცვერი ჰყავთ, შესაძლოა 10-მდე იყოს. ზოგიეთთან ინტერნეტფორუმზე მაქვს ურთიერთობა, რაღაცებს მეკითხებიან და ვპასუხობ. ერთმანეთს აზრებსაც ვუზიარებთ... თუმცა, ამ საკითხებზე ერთი კარგი ტრენინგი არ მაწყენდა. მოკლედ, საერთო საქმემ რამდენიმე მებოცვრე გაგვაერთიანა.

- რა არის საჭირო ამ სფეროში წარმატებისთვის?

- ჯიშების სწორად შერჩევა უნდა იცოდე. საქმიანობა ისეთი ბოცვრის ჯიშით უნდა დავიწყოთ, რომელიც რენტაბელური იქნება. არ უნდა გამოვიყენოთ

ადგილობრივი ჯიში, რომელსაც ქართულ ბოცვერს ვეძახით. სამწუხაროდ, ის ბიზნესისთვის მომგებიანი ვერ იქნება.

დიდი დრო და დანახარჯი სჭირდება მის გაზრდას, მისი ხორცად გაყიდვა ზარალია. ამიტომ ზორბა და სწრაფად მზარდი ბოცვრები გვჭირდება, ასეთია ახალზელანდიური და კალიფორნიული ჯიშები, მაგრამ საქართველოში ამ ჯიშების სუფთა რეპროდუქტორი არ არსებობს. ამიტომ ვიყენებთ თეთრი და რუხი გოლიათის ჯიშებს და ასევე, მათთან ფლანდრის ნაჯვარს. 4 თვის ასაკში მისი ხორცი 1,8 კილოგრამს აღწევს.

- როგორ უვლით?

- მოვლა რთულია. დიდი ბოცვრები ხანდახან ექვს კილომდე აღწევენ. მავთულბადის იატაკი მათ დაავადებას (დერმატიტი, ფეხისგულების დაზიანება, წყლულები უჩნდებათ, რომელიც სკდება და შემდგომ ინფექცია ეჭრებათ) იწვევს, ამიტომ გალიაში იატაკად ხის ძელაკებს ვიყენებ. დახურულ შენობაში ვენტილაცია სწორად უნდა იყოს გაკეთებული - არც ნესტი უნდა გაუჯდეს და არც ბოცვრის ექსკრემენტების სუნი. საჭიროა სწორი განათება. ბოცვრებამდე მზის სხივი უნდა აღწევდეს, რაც მათთვის ვიტამინის წყაროა. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს კვებას.

თვეში ერთხელ მაინც აუცილებელია დეზინფექცია. ამისთვის ბევრი საშუალება არსებობს. მე გაზის ალით გამოვწვავ ხოლმე გალიებს, ან ქლორს ვასხურებ. დეზინფექციისთვის სპეციალურ აბებს წყალში საჭირო დოზით ვხსნი. მოსხურებისას კურდღლები გალიიდან უნდა გამოვიყვანოთ და ნახევარ საათში დავაბრუნოთ. დეზინფექცია იმიტომ არის აუცილებელი, რომ ბოცვერს ბევრი გადამდები ვირუსული დაავადება ემუქრება, რომელმაც შესაძლოა, ყველა ერთ დღეს გაწყვიტოს.

- რით იკვებებიან?

- მათ რაციონში, ძირითადად, მარცვლეული კულტურებია: ქერი, ხორბალი, სიმინდი, ქატო, ასევე სოიისა და მზესუმზირის კოპტონი. ეს ყველაფერი, დაფქვის შემდეგ, დოზირებულად უნდა გაზავდეს, რადგან კოპტონი ბევრ პროტეინს შეიცავს. საკვებში პროტეინის შემცველობა უნდა იყოს 16-დან 18%-მდე, ამასთან, გააჩნია ასაკს, წონას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ლაქტაციის პერიოდს, მაკეობას და სხვ. ფორმულაც შევადგინე, რომლითაც ამ ყველაფერს მიახლოებით ვითვლი. არ არის ძნელი, მსურველს შეუძლია, ინფორმაცია მოიძიოს და თვითონაც გააკეთოს. როცა სოფლის პირობებში, ინდივიდუალურად ჰყავთ კურდღლები, მხოლოდ ხორბალსა და სიმინდს ან ქატოს აჭმევენ, რაც კარგ შედეგს არ იძლევა.

- ბოსტნეულს არ ჭამენ?

- სტაფილო მათთვის კარგი პროდუქტია. ბევრი აჭმევს კომბოსტოს, არადა, კომბოსტო ბერავს და მერე კურდღელი დასაკლავი ხდება. მათთვის ასევე კარგი საკვებია ოხრახუში, კამა და ნიახური ზამთარში, ლაქტაციის პერიოდში, დღეში 20-30 გრამი.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- წინსვლისთვის თანხაა საჭირო, თუმცა მინდა, 3-4 წელიწადში საქართველოში ყველაზე დიდი ფერმა მქონდეს. იმედია, გამომივა. ახალი ჯიშების შემოყვანაც მინდა. შარშან შემოდგომით ვაპირებდი უკრაინიდან, მაგრამ იქაურმა ამბებმა შემიშალა ხელი.

ბოცვრების გარდა ახალი ჯიშის ქათმებიც მოვაშენე, რომლებიც 5 კგ-მდე იზრდებიან. ეს საქმიანობა ერთი თვეა, დავიწყე. ჯერ წიწილები არიან და იზრდებიან. ესეც საინტერესო სფეროა, აქაც არ მაქვს გამოცდილება, მაგრამ ვსწავლობ.

- რას ურჩევთ იმათ, ვინც მეკურდღლეობას აპირებს?

- ჯერ თეორიული ცოდნა დააგროვოს. თუ ყველაფერს სწორად გააკეთებენ, გამორიცხულია, შედეგს არ მიაღწიონ.

ერთი ცუდი მხარე აქვს ამ საქმეს - ბოცვრის დაკვლა. ამას ფსიქოლოგიური მომზადებაც სჭირდება. ხშირად გალიიდან დასაკლავად ამომისვამს და მერე უკან ჩამიბრუნებია. ბოცვერი მყავდა, ფარსმანს ვეძახდი, აივანზე ვზრდიდი, უკვე ასაკიც უწყობდა ხელს და წონითაც იმხელა იყო, რომ უნდა დამეკლა, მაგრამ ძალიან მიჭირდა. მერე უცებ დავკალი, ყოყმანის გარეშე, თუმცა, ამისთვის ორ თვეს ვემზადებოდი.

- ბოცვრის ტყავს რას უშვრებით?

- ვერაფერს. ტყავის დამუშავება ძნელია, სახლის პირობებში ეს შეუძლებელია. არც არავინ იბარებს.

- უცხოეთში რომ გაიტანოთ?

- იმდენი სჭირდებათ (5000 ცალი და მეტი), ჯერ ვერ ვაგროვებ.

- ბოცვრები გალიებში ცალ-ცალკე გყავთ?

- ცოტა მოზრდილებისთვის ინდივიდუალური გალიები მაქვს, ანუ ყველა ბოცვერი ცალ-ცალკეა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ორი-სამი ბაჭია ერთ გალიაში იზრდება, ძლიერი ჩაგრავს სუსტს, საკვებს აცლის. ერთმანეთს ჰკბენენ, არადა, ნაზი კანი აქვთ, სისხლჩაქცევები უჩნდებათ, ცალკე კი თავს მშვიდად გრძნობენ.

ბევრი რამ ჩემი ხელით გავაკეთე ფერმაში, უმეტესად მეორადი მასალით. სოფელში თუ ვინმემ კარადა გადააგდო ან იატაკი გამოცვალა, წამოვიღე და გამოვიყენე... მიყვარს ჩემი საქმე.

ლალი ფაცია

კოკის ბეტონის ქარხანაში პოლონური ინვესტიცია ჩაიდო

კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში ბეტონის ქარხანა დღეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილემ გიზო სართანიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ და კომპანიის ხელმძღვანელებმა გახსნეს.

პოლონურმა საერთაშორისო ჰოლდინგმა „ტინეს კაპირალ ჯგუფი“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკში 3 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა.

ჰოლდინგის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელება სრულად შეესაბამება საქართველოს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას. კომპანიისთვის ასევე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინება თუ რა სტრატეგიული, გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია საქართველოს, რომელმაც შესაძლებელია ქვეყანა გახადოს ყველაზე მიმზიდველი ტრანზიტული ჰაბი.

გამგეობაში ჯანდაცვის კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა

ჯანდაცვის კომისიამ დღეს, გამართულ სხდომაზე ხუთი მოქალაქის განაცხადი სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურეობისთვის დააფინანსა.

ჯანდაცვის განყოფილების უფროსის სალომე ჩანგელიას ინფორმაციით, შემოსული განცხადებები გადაუდებელ ოპერაციაზე და ტომოგრაფიებზე იყო. ჭკადუაშის მკვიდრი, გურგენ ჭითანავას (სარქველის შეცვლა მექანიკური პროთეზით). სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია დაუფინანსდა.

ჯანდაცვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ამ ეტაპზე 2119 ლარს შეადგენს.

ედიშერ თოლორაია სტრასბურგში მიმდინარე სესიას ესწრება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი ედიშერ თოლორაია სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის პლენარულ სესიას ესწრება. ამ წუთებში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი უმცირესობათა ენების ქარტიის შესახებ მოხსენებით გამოდის.

პლენარული სესიის მიმდინარეობისას კენჭი ეყრება სხვადასხვა რეზოლუციასა და რეკომენდაციებს. კერძოდ: მიმოიხილავენ ადგილობრივი დემოკრატიის მდგომარეობას ლუქსემბურგში, მონტენეგროში, მოლდოვის რესპუბლიკასა და ალბანეთში. ასევე იმსჯელებენ ახალგაზრდებისთვის მმართველობის პროცესში მონაწილეობის მიღებისას ბარიერების აღმოფხვრაზე, ისაუბრებენ სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიურ თანამშრომლობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ ფორმებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას ვიზიტი სტრასბურგში 22 ოქტომბერს დასრულდა.

ონარიის დასახლებაში სახლების რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გიზო სართანიამ და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა გოგი რევიამ, ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, ონარიის დასახლებაში საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის პროცესი დაათვალიერეს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. გიზო სართანიას განმარტებით, მეორადი გამოყენების სამშენებლო მასალები, მათ შორის სახურავები, ონარიის დასახლებაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცემათ.

ამჟამად, ონარიის დასახლებაში მიმდინარეობს მრავალბინიანი სახლების სრული რეაბილიტაცია, რომელიც ითვალისწინებს ამორტიზირებული სახლებისთვის სახურავების შეცვლას, ავარიული აივნების დემონტაჟს და ხის აივნების რკინის, თანამედროვე ტიპის მოაჯირებით შეცვლას, ამასთანავე შეილესება და გალამაზდება ფასადი.

გრანელობა წალენჯიხაში

10 ოქტომბერს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დიდი ქართველი პოეტის, ტერენტი გრანელის პატივსაცემად„ გრანელობა“ აღინიშნა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ჩამოსულ სტუმრებთან ერთად გვირგვინით შეამკეს გრანელის ძეგლი, პოეტის ნასახლარზე გადახდილიქნა პარაკლისი, ტერენტი გრანელის სახლმუზეუმის ეზოში კი დაირგო განსაკუთრებული ჯიშის ხეები.

სახლმუზეუმშივე გაიმართა პოეზიის საღამო.

ბედინერა ლიტვის რესპუბლიკაში მიემგზავრება

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სახალხო ანსამბლი "ბედინერა" ლიტვის რესპუბლიკაში მიემგზავრება.

მ/წლის 9-16 ნოემბერს, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ტარდება ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი სახელწოდებით: "Покровские колокола". ფესტივალზე წარმოდგენილი იქნებიან ევროპისა და აზიის ქვეყნების ფოლკლორული კოლექტივები. მათ შორის საქართველოს სახელით მონაწილეობას მიიღებს ანსამბლი "ბედინერა", რომელიც ვილნიუსის ცენტრალურ ფილარმონიასა დალიტვის სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში შეასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობა და ანსამბლის წევრები უღრმეს მადლობას უხდიან ჩვენი რაიონის მკვიდრს, ბიზნესმენ შოთა ჯანჯღავას, ანსამბლის გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მარტვილში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები მარტვილის მუნიციპალიტეტის 1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში შეხვდნენ დირექტორებსა და პედაგოგებს. მინისტრმა ისაუბრა ბოლო პერიოდის ძირითად სიახლეებზე და ამ მიმართულებით დასმულ შეკითხვებს უპასუხა. ძირითადი აქცენტი არსებულ პრობლემებზე, პროფესიულ განვითარების სქემაში ჩართულობასა და კონკრეტული სკოლების ინფრასტრუქტურულ მდგომარეობასა და იმ საჭიროებებზე გაკეთდა, რომელთა მოგვარებაშიც მათ სამინისტროს თანადგომა და მხარდაჭერა ესაჭიროებათ.

სამუშაო შეხვედრა დევნილებთან

22 ოქტომბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი, სამინისტროს საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი დალი გოგოლაძე და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მარტვილში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ და ადგილზე გაეცნენ მათ პრობლემებს. ძირითად პრობლემად მათ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა და ბუნებრივი აირის შემოყვანა დაასახელეს. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას მინისტრის მოადგილე ახლო მომავალში დაჰპირდა.

ცრეოლოიალ ცაჯართველოს ამცნობს

„ეტალონი-2016“ შესარჩევი ტური ხობში

14 ოქტომბერს ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში საქართველოს ეროვნული რეგიონული გასვლითი თამაშების ჩემპიონატი „ეტალონი-2016“ ჩატარდა. ინტელექტუალურ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის 21 სკოლიდან წარმოდგენილმა მოსწავლეებმა. სოციალურ–საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის" ავტორი და კონკურსის წამყვანია გოჩა ტყეშელაშვილი.

პროექტს ახორციელებს საქართველოს მთავრობა (რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

პროექტის მიზანია 2015-2016 სასწავლო წლის ეტალონი მოსწავლის გამოვლენა. ხობის მუნიციპალიტეტის 21 წარმატებული მოსწავლესგან ,,ეტალონი მოსწავლის" ტიტული ახალი ხიბულის საჯარო სკოლის მოსწავლემ ლევან ლაშხიამ მოიპოვა, რომელსაც ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ საჩუქრად ფულადი თანხა 100 ლარის ოდენობით გადასცა.

პროექტის კულმინაცია იქნება საზეიმო ღონისძიება ,,ეტალონი - 2016“ ფინალური თამაში, რომელიც ჩატარდება თბილისში 2016 წლის 21 მაისს (შაბათს) 15.00 საათზე სპორტის სასახლეში. ფინალში მონაწილეობას მიიღებს 82 ქალაქის, მუნიციპალიტეტის ,,ეტალონი მოსწავლეები'' რომელთა შორის გამოვლინდება საქართველოს 2015-2016 სასწავლო წლის ,,ეტალონი მოსწავლე“.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ულოცავს ლევან ლაშხიას ადგილობრივ ეტალონის კონკურსში გამარჯვებას და უსურვებს საქართველოს მასშტაბით „ეტალონი მოსწავლის“ ტიტულის მოპოვებას.

ხობის „კოლხეთის“ მორიგი გამარჯვება

22 ოქტომბერს ქ.ხობის ცენტრალურ სტადიონზე საქართველოს XXVII ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მორიგი კალენდარული მატჩი გაიმართა, სადაც ხობის „კოლხეთმა“ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლა. თამაშის დაწყებამდე მოთამაშეებმა და მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ვეტერანი ფეხბურთელის მალხაზ (ჯონი) მალანიას ხსოვნას. მატჩი ხობის „კოლხეთის“ გამარჯვებით ანგარიშთ 3-1 დასრულდა. სტუმართა კარში გოლები გაიტანეს: ბექა ბაკურაძემ, ხოლო თამაშში დუბლი ცოტნე ბუკიამ შეასრულა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ულოცავს ხობის „კოლხეთს“ მორიგ გამარჯვებას.

ხობში ღვინის სახლი „ჯიალკო“ გაიხსნა

ქ. ხობში 9 აპრილის ქუჩა №3–ში, ღვინის სახლის „ჯიალკოს“ პრეზენტაცია გაიმართა, სადაც ოცდაათამდე სახეობის მშრალი, ნახევარმშრალი და ტკბილი ღვინო იყო წარმოდგენილი. გახსნის ცერემონიალს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ფსიქოლოგიური და საექიმო შემოწმება „სასკოლო მზაობის ცენტრში“

25 ოქტომბერს, ქ. ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის „სასკოლო მზაობის ცენტრის“ აღსაზრდელებმა გაიარეს ფსიქოლოგიური და საექიმო შემოწმება. საერთაშორისო ასოციაციამ „კივიტას გეორგიკა“ აღსაზრდელებისათვის უზრუნველყო ექიმ-პედიატრისა და ფსიქოლოგის მომსახურება (აღნიშნული ასოციაციის მხარდაჭერით და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით გაიხსნა სასკოლო მზაობის ჯგუფი).

სპეციალისტები ადგილზე გაესაუბრნენ აღსაზრდელთა მშობლებს და მისცეს კვალიფიციური რჩევები.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დრამატულ თეატრში

სენაკში მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი, რომელსაც ახორციელებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ამაგი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 10 ოქტომბერს. პირველი ეტაპი მოიცავს შენობის სახურავის სრულად განახლებისა და თბოიზოლაციის სისტემის მოწყობის სამუშაოებს. ამჟამად მიმდინარეობს სადრენაჟო სისტემის მოწესრიგების სამუშაოები. ეწყობა გოფრირებული მილები და სადრენაჟო ჭები, რომლის დასრულების შემდეგაც განხორციელდება გზის სავალი ნაწილის გრანიტის ფილებით მოკირწვლა. სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ გამგებლის მოადგილე თენგიზ ლომიასთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა. პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება, რომელიც 20 ნოემბერს უნდა დასრულდეს, შეადგენს 168 964 ლარს.

თეატრის სრული რეაბილიტაციის მეორე ეტაპი გაზაფხულზე განახლდება. პროექტი ითვალისწინებს გარე ფასადის, ინტერიერის, განათების სისტემის, კომუნიკაციებისა და თეატრისთვის საჭირო ინვენტარის სრულ განახლებას. რეაბილიტაციის შედეგად თეატრი შეძლებს უმაღლესი სტანდარტების დაკმაყოფილებას და უმასპინძლებს საერთაშორისო დონის ფესტივალებსა და ღონისძიებებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების სრული ღირებულება შეადგენს 2 800 000 ლარს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობას, რომელიც ქვეყნის მასშტაბით გამორჩეულია თავისი არქიტექტურული, კულტურული და ისტორიული ღირებულებით, მანამდე არ ჩატარებია.

წუთისოფლის შანაჩენი

ორ ათეულზე მეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შათირიშვილი-პაქსაშვილების ტკბილი ოჯახი შეიქმნა. კახური სიდინჯით გამორჩეულმა სოსო შათირიშვილმა პაქსაშვილების ოჯახს ქალიშვილის ხელი სთხოვა. მცირეოდენი მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ საქმე კეთილად დაგვირგვინდა. ორი შვილი შეეძინათ. ქალბატონი მზია იმერული ხასიათითა და ინტელექტუალური ცხოვრების წესით ოჯახს ღირსეულად უძღვებოდა.

მზია და სოსო შათირიშვილები

ერთ დროს პატარა ბუდე დღეს დღეობით რუსთავში ძლიერ ოჯახად იქცა. სოსომ სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მიაშურა. პროფესიად ენერგეტიკა აირჩია. მამამ, რომელიც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაფუძნების დღიდან მუშაობდა, ორივე შვილები თავისთან წაიყვანა. ასე, რომ ახალგაზრდა სპეციალისტმა კარიერული წინსვლა მუშის პოზიციით დაიწყო, შემდეგ მთავარი ინჟინერი და ამავე ქარხნის „თბოელექტროცენტრალის“ დირექტორი გახდა.

შათირიშვილების ოჯახი

მზია პედაგოგია (მათემატიკოსი). სხვადასხვა დროს დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ამჟამად VII საჯარო სკოლის მასწავლებელი და კერძო სკოლა „ეტალონის“ დირექტორია.

გავიდა დრო. ქართულ ტრადიციულ ოჯახში სითბო და ერთმანეთის პატივისცემა სხვათათვის მისაბაძი იყო. თუმცა ის, რომ ცხოვრება თაფლში მწარე ნაღველს გაურევს, უცხო არავისთვისაა. წლების განმავლობაში თაფლით ნაგები კედელი გაიბზარა, ოჯახს მთავარი ბოძი გამოეცალა. უცაბედმა შემთხვევამ ბატონი სოსო საყვარელ ცოლ-შვილს, მოხუც დედას ხელიდან გამოსტაცა და მარადიულობისკენ გაუყენა გზას. მსახვრალმა წუთისოფელმა მისთვის კუთვნილი წუთი აღასრულა, ამქვეყნიური სავალი გზა შეუმოკლა და საყვარელი ადამიანები ცრემლის მორევისთვის გაიმეტა.

სოსო შათირიშვილები შვილებთან

ერთგული, სიტყვაძვირი, ალალი, კეთილი, პროფესიონალი, კარგი მამა და მეუღლე, — ასე ახასიათებენ მას ახლობლები და მეგობრები.

ერთადერთი ნუგეში რჩება ოჯახს, რომ გზა სავალი, მისგან თელილი დავიწყებას არასდროს მიეცემა. სანთელ-საკმეველი არ მოჰკლებოდეს მის ნათელ სულს ცათა სასუფეველში, ოჯახს კი ღირსეული მამის ნაკვალევზე ბედნიერ მომავალს ვუსურვებ.

ნინო რეხვიაშვილი

ჭირისუფალი ძაღლი

გუგა ქუსიკაშვილი

ვაი შენს დედას, შვილო! ჩემო გუგუნა. გენაცვალოს დედა, ღმერთმა სამუდამო სასჯელი მომივლინა, შენი თავი წამართვა. რა იყო შენი ამქვეყნიური ცხოვრება, მხოლოდ 24 დაბადების დღე? მხოლოდ 24 ახალი წელი? ვაიმე, შვილო, რატომ დამტოვა ღმერთმა ამ ქვეყნად, შენს გაყინულ მკერდზე არის ჩემი ადგილი, შვილო! ხმა ამოიღე, დედი, ასეთი რა გაწყენინე, შვილო... მოსთვამს ძაძებით მოსილი სასომიხდილი დედა, მოსქვამს და ღაწვებს იხოკავს.

მისმა ერთადერთმა შვილმა უცხოობაში განუტევა ტანჯული სული, შვილმა, რომლის სიცოცხლის გადასარჩენად მარტოხელა ქალმა, გეზი საფრანგეთისკენ აიღო და ოცდაოთხსაათიანი შრომის საფასურად აღებულ გროშებს შვილს უგზავნიდა. ამასობაში გუგა გაიზარდა. 24 წლის ბიჭს ოჯახური სითბო ენატრებოდა. მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა, იფიქრა მამა მენატრება და არ მყავს, დედა მენატრება და ამ სიშორესაა, მე აქ რას ვაკეთებო, მიიღო გადაწყვეტილება და დედას საფრანგეთში ჩააკითხა.

დარჩენა გადაწყვიტა. ახალი ცხოვრება აიწყო, ენის სწავლას შეუდგა. დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ერთ საბედისწერო ღამეს გუგას ბედის ვარსკვლავი ჩაქრა. ბავშვი ძილში გაიპარა. ცხოვრებამ არაერთი განსაცდელი მოუვლინა ახალგაზრდა ჭაბუკს. არც გაჭირვება დაჰკლებია და არც მეგობრების სითბო, მაგრამ 24 წლის ბიჭისთვის ეს ცხოვრება გაუსაძლისი აღმოჩნდა.

ეს ყოველივე იყო და არა იყო რას დაემსგავსა. მოვიდა იმისთვის, რომ თავის კაცური სახელი დაეტოვებინა ამ ბედუკუღმართ წუთისოფელში. უამრავი მეგობარი აატირა, უამრავ ადამიანს დასწყვიტა გული.

როგორც იქნა, რის ვაივაგლახით საცოდავმა დედამ შვილის სამშობლოში ჩამოსვენება შეძლო.

დაკრძალვის დროს საფლავზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ბავშვი ცრემლის ზღვაში ცურავდა. თუმცა იქვე ცხედართან შორი ახლოს მდგარი თეთრი ლამაზი ძაღლი ჭირისუფალს შეუმჩენეველი არ დარჩენია. რამდენჯერ გააგდეს, იმდენჯერ უკან დაბრუნდა. პროცესია დამთავრდა. ხალხი სასაფლაოდან გაიკრიფა თუ არა, ძაღლმა თავისუფლება იგრძნო და საფლავის გორაზე ზემოდან დაწვა. მესაფლავეებმა ეს რომ დაინახეს, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და გაოგნებულები შესცქეროდნენ ცხოველს. ვერაფერს მიხვდნენ, თითქოს რაღაც სასწაულის მომსწრენი გახდნენ, მაგრამ რა მოხდა ვერ გაეგოთ. გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს ჭირისუფალი სასაფლაოზე წავიდა. გუგას დედა მუხლისთავებით იდგა შვილის საფლავზე, ნათესავები დედა-შვილის ცოდვით ცხარე ცრემლით ტიროდნენ. ამასობაში, სად იყო და სად არა ის თეთრი ძაღლი გამოჩნდა, საფლავზე შეგროვილი ხალხი რომ დაინახა, ენაგადმოგდებული გამორბოდა, ამდენ ადამიანს შორის, მხოლოდ გარდაცვლილის დედას შეახტა, ჩაეხუტა, ლოკავდა. ქალმა ხმამაღლა, ღრიალით აღმოთქვა, ღმერთო, მაღალო, გამაგებინე რა ხდება ჩემ თავს, ნუთუ ჩემი გუგუნას სული ამ არსების სულში ჩასახლდა. უფალო, დიდება შენს ძალას. მიიღე ჩემი შვილის სული სამოთხის სასუფეველში, თქვა სასომიხდილმა ქალმა და შვილის საფლაზე თავქვე დაემხო.

ნინო რეხვიაშვილი

ჟურნალი „სამეგრელო“ 4 წლისაა

კოლხეთი _ ჩვენი ქვეყნის თვალი თვალთაი, სული და გული ქართული ცნობიერების, ჯიშის და გენის, ხალხი გამორჩეული სიყვარულით, ერთგულებით, სიმტკიცითა და მაღალი ხნეობით, ენა სიძველით და სიდიადით გაბრწყინებული, მეგრული წაწა მართლაც სულის იავნაწა, სალბუნი და სამშვენისი ეროვნული ფოლკლორისა.

ამ საამაყო კუთხის მოფერებისა და ძირძველი მეგრული ფესვების სიდიადეს ღაღადებს ჟურნალი „სამეგრელო“. იდეა, რომლის საფუძველზეც ჟურნალი შეიქმნა 2011 წელს გაჩნდა, თუმცა გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო. ის, რომ მე ჟურნალ „რაჭველებს“ ვაკეთებ, უჩვეულო არ არის, რაჭველი რაჭას ემსახურება, მაგრამ რაჭველი ქალისგან „სამეგრელოს“ ჟურნალის შექმნა ბევრი მეგრელისთვის გაოცების საგანი აღმოჩნდა. თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, დედას ის უფრო უნდა უხაროდეს, სხვა რომ შვილს შეუქებს, ვიდრე თავად აქოს იგი. ასეა ამ შემთხვევაშიც. ჩემმა მეგრელებმა გულის კარი გამიღეს, ჩემი სიტყვა გაითავისეს, პატივი სცეს და ჟურნალს ერთგულება გამოუცხადეს.

ოთხი წელი და 48 ჟურნალი! ეს ის პერიოდია, როცა „სამეგრელოს“ არაერთი ადამიანი ეხმაურება საზღვარგარეთიდან, ჟურნალი „სამეგრელო“ ქართულ დიასპორას მეგრულ ამბებს ყოველთვიურად ამცნობს.

მე, როგორც რედაქტორი, ამ საიუბილეო გამოცემის საშუალებით დიდ მადლობას ვუხდი ჩემს მკითხველს ოთხწლიანი ერთგულებისათვის. განსაკუთრებული მადლობა მიწდა მოვუხადო ხუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ედიშერ თოლორაიას და ხუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსს ბატონ თეწგიზ ცანავას, მარტვილის, ხობის, ჩხოროწყუს, სენაკის, მუნიციპალიტეტის გამგებლებს, რომელთა კეთილი ნების საწაცვლოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ყოველთვიურად იღებენ ჟურნალ „სამეგრელოს“. მადლობა მათ ამ არჩევანისათვის.

ჟურნალი „სამეგრელო“ კვლავ აქტიურად აგრძელებს მუშაობას. იაქტიურეთ, გამოაგზავნეთ პუბლიკაციები, ითანამშრომლეთ ჩვენთან და ერთად ვაკეთოთ საქმე, რომელსაც მეგრული სულის გაბრწყინება ჰქვია. ნუ მოვერიდებით პრობლემებს, ხომ გვახსოვს, მოყვარეს პირში უძრახეო, ჩვენ მზად ვართ თქვენს ყოველ გზავნილს შესაბამისი მიმართულება მივცეთ.

ამჟამად რედაქცია და „წინო რეხვიაშვილის გამომცემლობა“ ამზადებს წიგნს „მეგრელი ექიმები“, რომლის წარდგინებაც საახალწლოდ იგეგმება.

მაშ ასე, ნოემბერში ჟურნალი „სამეგრელო“ იუბილარია.

კეთილი სურვილებით და დიდი სიყვარულით რედაქტორი

წინო რეხვიაშვილი

„ნინო ხეხვიაშვილის გამომცემლობა"

წიგნების ბეჭდვა

ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა

აწყობა, დიზაინი, დაკაბადონება

მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810